# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№5 (9837) 2025 წლის 17 იანვარი, პარასკევი.

ფასი 1 ლარი




„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადება

# გლობალურმა ომის პარტიამ დიდი ბრიტანეთიც თავის სათამაშოდ აქცია!

დიდი ბრიტანეთის მიერ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შემთხვევაში, ცხადად წარმოჩინდება, რომ „დიფ სთეითმა“ დიდი ბრიტანეთი უკრაინის, ლიეტუვის, ესტონეთისა და ევროპარლამენტის დონემდე დაიყვანა.

იხ. მე-2 გვ.

## სოსო არჩვაძე

## ჩვენი ეკონომიკის ხომალდმა გლობალურ და შიდა რყევებს გაუძლო!

3

## 2024 წელს ტურისტული ვიზიტების მაჩვენებელმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

11




## კახა კალაძის საახალწლო საჩუქარი სამტრედიელებს



4

## ვის სურს ოკუპირებული აფხაზეთის ლიდერობა?



5

## მედიათა მიჯნაზე

პაატა ნაცვლიშვილი



## 2024, რჩეული პოსტები

6

## ნაცისტების წინააღმდეგ მებრძოლი სტუდენტი



სოფი შოლის ისტორია

8

რა იქნება ხვალ?!

№5. პარასკევი, 17 იანვარი, 2025 წელი



## დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში ბიძინა ივანიშვილის სანქცირების წინადადება შეიტანეს

**თემთა პალატაში პარლამენტის წევრმა, ლიბერალ-დემოკრატმა ჯეიმს მაკკლიარიმ ივანიშვილის სანქცირების წინადადება წარადგინა, რომელსაც მხოლოდ 13 ხელმომწერი ჰყავს.**

წინადადების ტექსტი გულისხმობს თემთა პალატის მხრიდან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებისა და მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გადამეტებული გამოყენების გამო ღრმა შეშფოთების გამოხატვას.

წინადადება, ასევე, დემოკრატიის შელახვისა და საქართველოში რუსეთის გავლენის ხელშეწყობაში ბიძინა ივანიშვილის როლს გმობს, ითვალისწინებს, რომ შეერთებულმა შტატებმა ბიძინა ივანიშვილს სანქციები დაუწესა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობას იმავე ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს.

# გლობალურმა ომის პარტიამ დიდი ბრიტანეთიც თავის სათამაშოდ აქცია!

## „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადება




**როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში თოთხმეტმა დეპუტატმა შეიტანა ინიციატივა ბიძინა ივანიშვილის სანქცირების შესახებ. ამ ინიციატივას წინ უსწრებდა დიდი ბრიტანეთის მიერ ვახტანგ გომელაურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნების სანქცირება.**

ქართველ საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ისტორიულად, დიდი ბრიტანეთი ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც ძლიერი, სუვერენული და პროგრესული სახელმწიფო, რომლის წიაღშიც განვითარდა სამართლის უზენაესობის იდეა და ადამიანის ძირითადი უფლებები. სწორედ ინგლისში წარმოიშვა საპროცესო ძირითადი უფლებები და კონკრეტულად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის თანახმად ადამიანისთვის სანქციის შეფარდებამდე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი სათანადო მოსმენა და უტყუარი მტკიცებულებებით სანქციის გამყარება. გამაოგნებელია, რომ ის, რაც ინგლისში ჯერ კიდევ მე-13 და მე-17 საუკუნეებში გაიაზრეს, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ 21-ე საუკუნეში სრულად დაივიწყა და ფეხქვეშ გათელა.

ყველას გვახსოვს ხუთი უსამართლო და სამარცხვინო, ანტიქართული რეზოლუცია, რომლითაც ევროპარლამენტი ბიძინა ივანიშვილის დასჯას და კრიმინალების განთავისუფლებას ითხოვდა. ყველას გვახსოვს უსამართლო და სამარცხვინო უკრაინული სანქციები ქართველი პოლიტიკოსების, საჯარო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგ, რომელიც არავითარი ფაქტით და მტკიცებულებით არ იყო გამყარებული. ყველას გვახსოვს ლიეტუვისა და ესტონეთის ანტიქართული გადაწყვეტილება ქართველი პოლიტიკოსებისა და მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სანქციების შეფარდების თაობაზე, რომელიც, ასევე, არავითარ ფაქტებს და მტკიცებულებებს არ ემყარებოდა. უკიდურესად შემაშფოთებელია, რომ ისეთი ქვეყანა, როგორიც დიდი ბრიტანეთია, დღეს „დიფ სთეითმა“, იგივე გლობალურმა ომის პარტიამ, ზუსტად ისეთივე თავის მორიგ სათამაშოდ აქცია, როგორც უკრაინა, ლიეტუვა, ესტონეთი და ევროპარლამენტი.

დღეს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, სანქციებით ემუქრებიან საქართველოს მმართველი პარტიის ლიდერს, რომელმაც საქართველო ავტორიტარული მმართველობისგან დაიხსნა, ქვეყანას დემოკრატიული გარდატეხა მოუტანა, საქართველოში ადამიანების მკვლელობისა და წამების, ბიზნესის რეკეტის, მედიის მიტაცებისა და არჩევნების გაყალბების სისტემური პრაქტიკა დაასრულა, ქვეყანას 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა შეუნარჩუნა და ეკონომიკა გაუსამმაგა.

დიდი ბრიტანეთის მიერ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შემთხვევაში, ცხადად წარმოჩინდება, რომ „დიფ სთეითმა“ დიდი ბრიტანეთი უკრაინის, ლიეტუვის, ესტონეთისა და ევროპარლამენტის დონემდე დაიყვანა, რაც ამ სახელმწიფოს ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, გამორჩეულად ტრაგიკულ მოვლენად უნდა შეფასდეს.

სანქციების დაწესების შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთის, როგორც სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ძირითად უფლებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს, ავტორიტეტი საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს. თუმცა, იმ ფონზე, რომ „დიფ სთეითმა“, ანუ გლობალურმა ომის პარტიამ, არაერთი სახელმწიფო ფიზიკური განადგურებისთვის გაწირა, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივ-მორალური განადგურება და დაკნინება ბევრად ნაკლებად ტრაგიკული მოვლენაა.

**16 იანვარი, 2025.**

## პრემიერ-მინისტრი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვევა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე დღეს, 17 იანვარს აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეწვევა.**

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, ბაქოში, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების ხელმძღვანელობით, საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართება. კომისიის სხდომაში ორი ქვეყნის მთავრობის წევრები მიიღებენ მონაწილეობას.

დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის პირისპირ შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან. შეხვედრის შემდეგ ლიდერები მედიისთვის ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ.

საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი არიან.

## მაკა ბოჭორიშვილი: საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა ნამდვილად სამაგალითოა!



**მინისტრის ინფორმაციით, აზერბაიჯანელ კოლეგასთან ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა, სადაც საუბარი შეეხო როგორც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ ორმხრივ დღის წესრიგს, ასევე რეგიონში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.**

„ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ჩვენს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა უფრო ფართოვდება და ახალ დადებით განზომილებებს იძენს, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნების, არამედ რეგიონის კეთილდღეობისთვის“, – განაცხადა მაკა ბოჭორიშვილმა.

რეგიონში მიმდინარე პროცესებზე საუბრისას ხაზი გაესვა მშვიდობისა და სტაბილურობის აუცილებლობას.

„საქართველო ყოველთვის იყო და იქნება ერთგული ჩვენს რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის, ყოველთვის იქნება მზად ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას და ჩვენს რეგიონში მდგრადი მშვიდობის უზრუნველყოფას“, – აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, რეგიონული თანამშრომლობის ჭრილში, ხაზი გაესვა საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის არსებულ სამმხრივ ფორმატს, რომელიც წარმატებული რეგიონული თანამშრომლობის კარგი მაგალითია.

„ყურადღება გავამახვილეთ ერთობლივი რეგიონული სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების მნიშვნელობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე. აქცენტი გაკეთდა „შუა დერეფნის“ როლსა და მნიშვნელობაზე.ჩვენ, ერთიანი ძალისხმევით წამოვიწყეთ და წარმატებით ვახორციელებთ არაერთ სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტს, რომლებმაც თვისობრივად გაზარდეს ჩვენი რეგიონის როლი და ფუნქცია“, – აღნიშნა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მაკა ბოჭორიშვილმა აზერბაიჯანელი კოლეგა, ჯეიჰუნ ბაირამოვი მისთვის სასურველ დროს საქართველოში მოიწვია.

## ნათია თურნავა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მსხვილ ინვესტორებს შეხვდა



**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნათია თურნავა ავსტრიაში ვიზიტის ფარგლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მსხვილ ინვესტორებს შეხვდა.**

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ვენაში, **Raiffeisen Bank**-ის ორგანიზებით გამართულ შეხვედრას 25-ზე მეტი საინვესტიციო ფონდის წარმომადგენელი ესწრებოდა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა როგორც საქართველოში წარმოდგენილ, ისე პოტენციურ ინვესტორებს ქვეყანაში არსებული სტაბილური მაკროეკონომიკური ვითარებისა და საინვესტიციო გარემოს შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

ნათია თურნავამ ინვესტორებთან შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა ქვეყნის მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებასა და დოლარიზაციის შემცირების წარმატებულ პოლიტიკაზე, რაც ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფისა და საფინანსო სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

„ამ შეხვედრაში მონაწილეობდა 25-ზე მეტი ინსტიტუციური ტიპის ინვესტორი, ფონდები, სხვადასხვა საინვესტიციო ჯგუფი, რაც მეტყველებს, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი მაღალია და ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მიმზიდველ ადგილად რჩება ინვესტორებისთვის“, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ.

## ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკითხი



**დავით სონღულაშვილი ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის, პურის მრეწველთა კავშირის და წისქვილკომბინატების წარმომადგენლებს შეხვდა.**

**მინისტრმა, შეხვედრის მონაწილეებთან ერთად, სექტორში არსებული ვითარების დეტალები განიხილა და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკითხს.**

მხარეებმა შეხვედრაზე წარმოებებში დასაქმების, ბაზრების დივერსიფიცირების და ფასების რეგულაციების საკითხებზე იმსჯელეს.

როგორც დავით სონღულაშვილმა აღნიშნა, სახელმწიფოსთვის კერძო სექტორის მხარდაჭერა პრიორიტეტია. დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან, მწარმოებლებთან შეხვედრებზე განიხილება ყველა გამოწვევა და გადაწყვეტილებები შეჯერებული მოსაზრებების საფუძველზე მიიღება.

# თბილისელებმაც ისწავლეს ღამით მშენებლობა!

## რეპორტაჟი თბილისის მთავრობის სხდომიდან

**2025 წლის** შობა-ახალი წლის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დასრულდა, რომელიც 25 დღის განმავლობაში, სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარეობდა.

მინდა, გაწეული შრომისთვის მადლობა გადავუხადო მერიის თითოეულ თანამშრომელს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ დღესასწაულის შექმნაში წვლილი შეიტანა. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ყველა იმ კომპანიას, ვინც შესაბამის სამსახურებთან ერთად, ჩართული იყო „საახალწლო სოფლის" ღონისძიებების ორგანიზებაში და აუცილებლად მეწარმეებს, რომელთა გარეშე საახალწლო ბაზარი წარმოუდგენელი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იყო ძალიან ბევრი შეურაცხყოფა, შემოტევები, ეს ადამიანები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ „საახალწლო სოფელს" ემუშავა გამართულად. კიდევ ერთხელ, ძალიან დიდი მადლობა ეკუთვნის მათ. მადლობა უნდა გადავუხადო არტისტებს, მსახიობებს, ბენდებს, ყველა ქართველ შემსრულებელს



და შემოქმედებით ჯგუფებს წარმატებული თანამშრომლობისთვის. მათი მისამართითაც იყო შეურაცხყოფა, ბულინგი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ადამიანები დადგნენ თბილისელების, ხალხის გვერდით და თავიანთი შემოქმედებით გაალამაზეს ჩვენი დედაქალაქი.

რაც შეეხება საციგურაო ყინულის მოედანს, დატვირთულობისა და დიდი მოთხოვნის გათვალისწინებით, ის 21 იანვრამდე იფუნქციონირებს.

გმირთა მოედანზე, „ლაგუნა ვერეს" მიმდებარე ტერიტორიის საგზაო ნაწილის რეაბილიტაცია იწყება. სარეაბილიტაციო არეალი, გმირთა მოედნიდან ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპირომდე არსებულ საგზაო მონაკვეთს მოიცავს. გამტარუნარიანობის თვალსაზრისით ეს საკმაოდ პრობლემური ადგილია, განსაკუთრებით პიკის საათებში. პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია გზის გაფართოება და სრული რეაბილიტაცია. ასევე, გარე განათების ქსელის მოწყობა **LED** ლამპიონებით. უკვე მიმდინარეობს სადენების მიწის ქვემოთ ჩატანა. ასევე, უსაფრთხოების კუნძულები მოეწყობა, დაიხაზება ზებრა გადასასვლელები და შუქნიშნები დამონტაჟდება, რომლითაც საავტომობილო მოძრაობა დარეგულირდება. ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. პროექტი დაახლოებით, ორ თვეში დასრულდება. დღის განმავლობაში ჩვენ მუშაობას ფიზიკურად ვერ მოვახერხებთ. ამიტომ სამუშაოების შესრულება ძირითადად ღამის საათებში მოგვიწევს.

***

**ვაცხადებთ** აუქციონს ელექტროდამტენების მონტაჟზე, რომელზე მოთხოვნაც უფრო და უფრო მზარდია. აღნიშნული აუქციონის ფარგლებში, დედაქალაქის ტერიტორიაზე, ელექტროდამტენი 200-მდე ლოკაციაზე დამონტაჟდება. აუქციონი გამოცხადდება სამ ლოტად. თითოეულ ლოტში თანაბრად გადანაწილდება დასამონტაჟებელი დამტენების რაოდენობა; თითოეული მათგანი უნდა იყოს სწრაფად დამტენი აპარატი; აუქციონში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება, აპარატები დაამონტაჟოს და ფუნქციონირება დაიწყოს არაუგვიანეს რვა თვის განმავლობაში; საიჯარო ვადა იქნება 10 წელი. მოვუწოდებ ბიზნესის წარმომადგენლებს, დაინტერესდნენ აღნიშნული პირობებით და აუქციონში ჩაერთონ. განაცხადების მიღება 20 კალენდარული დღის განმავლობაში იწარმოებს.

***

**თბილისის** საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებული 13 500-მდე მოქალაქისთვის, საჯარო სამსახურებისთვის გათვალისწინებულ 10%-იან ზრდასთან ერთად, თითოეული საშტატო ერთეულის სრულ განაკვეთზე ანაზღაურება 125-ლარით გაიზრდება. ეს არის მიმართულება, სადაც თანამშრომლებს ყველაზე დაბალი ხელფასები ჰქონდათ და ამ მხრივ ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ეს იყო წინასაარჩევნოდ პრემიერ-მინისტრის დაპირება და ჩვენ, რა თქმა უნდა, დაპირებას ვასრულებთ. საერთო ჯამში, თბილისის საჯარო საბავშვო ბაღებში არსებული შრომითი განაკვეთების გათვალისწინებით, ხელფასები იზრდება საშუალოდ 25%-ით, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო წლების პრაქტიკის გათვალისწინებით. გასულ წელს დედაქალაქში ხუთი ახალი საბავშვო ბაღის შენობა აშენდა და გაიხსნა, ორი ბაღის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, დაიწყო ახალ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა, შვიდი ახალი ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.

**კახა კალაძე,**
**15 იანვარი, 2025.**

# სოსო არჩვაძე: „ჩვენი ეკონომიკის ხომალდმა გლობალურ და შიდა რყევებს გაუძლო!"

**„მთლიანობაში ჩვენი ეკონომიკის ხომალდმა გაუძლო გლობალურ რყევებს, შიდა რყევებსაც და გასული წელი საკმაოდ დამაჯერებლად დაასრულა", – ამის შესახებ ეკონომისტმა სოსო არჩვაძემ მედიაჰოლდინგ „კვირას" პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა.**

**არჩვაძემ ეკონომიკაში არსებული ტენდენციების შესახებ ისაუბრა.**

„საქართველოს ეკონომიკა ცალკე მეურნეობა არაა, რომელსაც დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირი არა აქვს. პირიქით, საქართველო მსოფლიო მეურნეობაში ძალიან ღრმადაა ჩართული. თუ ავიღებთ მაგალითად საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელს, აღნიშნული ინდიკატორით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის თანაფარდობა მთლიან ეროვნულ პროდუქტთან 14 პუნქტით უფრო მაღალი აქვს, საშუალო გლობალურ მაჩვენებელთან შედარებით. ანუ დადებითი და უარყოფითი პროცესები, რაც მსოფლიო ეკონომიკაში ვითარდება, ჩვენს ეროვნულ მეურნეობაზე, მის სტრუქტურაზე, განვითარების დინამიზმზე, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის კეთილდღეობაზე თავის გავლენას ახდენს.

ასეთი პასაჟის მოტანა იმიტომ დამჭირდა, რომ ჩვენს ეკონომიკაზე არა მარტო ქვეყნის შიდა პროცესები, არამედ გარე პროცესებიც სერიოზულ გავლენას ახდენს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წელიწადია, ჩვენ საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რითაც გამოვირჩევით არა მარტო რეგიონში, არამედ გლობალური მასშტაბითაც. ეკონომიკური ზრდის მიხედვით ჩვენ საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს ორჯერ და მეტად ვუსწრებთ. ეს გვაძლევს საშუალებას, რომ მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისგან ჩვენი ისტორიული ჩამორჩენა თანდათანობით შევამციროთ, წარმოებისთვის, ბიზნესისთვის, ინვესტიციებისთვის, მოსახლეობის კეთილდღეობისთვის უკეთესი პირობები შევქმნათ.

ბოლო თვეებში ადგილი აქვს საპროტესტო გამოსვლებს, ამას ეკონომიკაზე სერიოზული, რადიკალური ზეგავლენა არ მოუხდენია. რა თქმა უნდა, ნეგატიური დატვირთვა გააჩნია, შემიძლია, გითხრათ, რომ მხოლოდ ტურიზმის სექტორის, მასთან მომიჯნავე დარგების ნეგატიური ზემოქმედების გამო, დეკემბრის თვის მშპ-ზე უარყოფითად დაახლოებით 1-დან 1,5%-მდე იმოქმედებს. მაგრამ, მთლიანობაში ჩვენი ეკონომიკის ხომალდმა გაუძლო გლობალურ რყევებს, შიდა რყევებსაც და გასული წელი საკმაოდ დამაჯერებლად დაასრულა. ეკონომიკური ზრდის საბოლოო მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ, ვფიქრობ, დაახლოებით 9% მაინც იქნება.

ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საკუთარი ბუნებრივი რესურსები არ გააჩნია, ისაა ენერგომატარებლების იმპორტიორი, რომელთა იმპორტის მოცულობა ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიარდის ფარგლებშია. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ ზრდას მაინც ვახერხებთ. ამას დავამატოთ ის, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პირობებში საკმაოდ დაბალი ინფლაცია აქვს. მოსახლეობის შემოსავლების და საშუალო ხელფასის დინამიკას რეალურ განზომილებაში თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ როდესაც შემოსავლები და საშუალო ხელფასი ორნიშნა ეკონომიკური ზრდის პირობებშია, ხოლო საშუალო წლიური ინფლაცია დაახლოებით 2%-ის ფარგლებშია, ეს იძლევა იმის თქმის ობიექტურ საფუძველს, რომ დავასკვნათ: მოსახლეობის რეალური შემ-



ოსავლები იზრდება, იზრდება მთელი რიგი სხვა პარამეტრების მიხედვითაც, ეს იქნება საშუალო დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობა, საშუალო ხელფასი, თუ რიგი სხვა ინდიკატორები. მთლიანობაში შეგვიძლია, ვთქვათ, რომ წელი საკმაოდ წარმატებულად დასრულდა.

**რაც შეეხება მიმდინარე წელს – საქართველოს ეკონომიკის ლოკომოტივს ისეთი სიჩქარე აქვს აკრეფილი, რომლის დამუხრუჭების რესურსი არც შიდა, არც გარე ნეგატიურ ძალებს არ ძალუძთ. საქართველოს ეკონომიკა ვითარდება. თავისთავად ორნიშნა ეკონომიკური ზრდა თვითმიზანს არ წარმოადგენს, ჩვენი მიზანია ეკონომიკის ინკლუზიურობის გაზრდა და თითოეულ შინა მეურნეობაზე ეკონომიკური ზრდის თითოეული პროცენტის უფრო მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტით დაყვანა. ხელისუფლებას ეს სტრატეგია აქვს არჩეული. ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ გაგრძელდება.**

საკმაოდ საინტერესო ტენდენცია ვითარდება ეროვნული ვალუტის რეზერვებთან დაკავშირებით. რეზერვებს არ აქვთ საკრალური დატვირთვა, რომ გინდა, თუ არა იზრდებოდეს და მისი ნებისმიერი შემცირება ტრაგიზმის კონტექსტში იქნას განხილული. რეზერვებს წმინდა პრაგმატული დატვირთვა აქვს. ეროვნული ბანკი იმისდა მიხედვით იყენებს, რა საჭიროებაც დგას ზოგადად ეკონომიკის საჭიროების, ფულად საკრედიტო სისტემის სტაბილურობისა და ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებისთვის.

რაც შეეხება ლარს: ლარი ამჟღავნებს სტაბილურობას, მდგრადობას, ესაა მიღწეული როგორც ხელისუფლების გააზრებული ეკონომიკური საფინანსო პოლიტიკით, ისე საქართველოს როლის და ფუნქციების ზრდით გლობალური შრომის დანაწილებაში" – განაცხადა არჩვაძემ.

ეკონომისტი ასევე გამოეხმაურა ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, დეპოზიტების პორტფელში რუსულ რუბლში განთავსებული დეპოზიტების წილი 0.17%-ია.

„ეს თავისთავად მიანიშნებს იმას, რომ ჩვენს სავალუტო რეზერვებს და საფინანსო, საკრედიტო პოლიტიკას არ ვაგებთ ისეთი ვალუტის გამოყენებაზე, ან იმედზე, როგორიცაა რუსული რუბლი. მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ ბოლო პერიოდში, წელიწადზე მეტია, საქართველოში 5 დიდი სახელმწიფოდან ფულადი ტრანზაქციები მკვეთრად მატულობს. ესაა აშშ, იტალია, საბერძნეთი, გერმანია, ისრაელი. რუსეთიდან შემოსული თანხები კი თანდათანობით მცირდება"...

## გლდანის პატარა ტბის ახალი სიცოცხლე

**თბილისის** მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური გლდანის პატარა ტბის გარშემო რეკრეაციულ ზონას აწყობს.

აღნიშნული ტერიტორია, დაახლოებით, შვიდი ჰექტარია, პარკის მოწყობის სამუშაოები კი 37 000 კვ.მ ფართობზე მიმდინარეობს. დანარჩენ ფართობს იკავებს წყლის ზედაპირი.

მიმდინარე სამუშაოები თბილისის მერის მოადგილე **ანდრია ბასილაიამ** და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა **პაატა ტოგონიძემ** დაათვალიერეს.

ამ ეტაპზე ეწყობა ბეტონის ბილიკები, მოედნები და განათების სისტემა. ტერიტორიაზე შეაქვთ ნოყიერი მიწის ნაზავი. უახლოეს პერიოდში დაიწყება ტბაზე პირსის მოწყობა, გაკეთდება სპორტული მოედნები და სარწყავი სისტემებიც.

სამუშაოების ფარგლებში, დაგეგმილია საჩრდილობლების, ვიდეომეთვალყურეობისა და განათების სისტემების, საბავშვო მოედნის, ცხოველების სასეირნო ზონის, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნების მოწყობა. ასევე, გაკეთდება ველო და საფეხმავლო ბილიკები, რომელიც შემოუვლის გზისპირა გამწვანების ზოლს და მას ერთგვარ კუნძულის ფორმას მისცემს. ტერიტორიაზე განთავსდება სკამები და ურნები.

ტბა გაიწმინდება ლეშქაშისგან და მასზე გაივლის საინტერესო დიზაინის პირსი, საიდანაც შესაძლებელი იქნება ფრინველებსა და გარემოზე დაკვირვება. ტერიტორიაზე დაირგვება სხვადასხვა სახეობის ნერგი, დაითესება ბალახი. ასევე, მოეწყობა ტერასული გამწვანება, რომელიც ბუნებრივად ერწყმის არსებულ ლანდშაფტს (ფერდობს). პარკი ადაპტირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.



# შეშლილი, შეშლილი... მსოფლიო

## ჯო ბაიდენი:

## თავისუფალი პრესა ინგრევა... სოციალური მედია უარს ამბობს ფაქტების შემოწმებაზე!..

**პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ოთხშაბათს თეთრი სახლის ოვალური კაბინეტიდან ამერიკელებს გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართა.**

ბაიდენმა გამოიყენა თავისი მიმართვა, რათა გაეფრთხილებინა ამერიკელები იმ საფრთხის შესახებ, რომელიც შექმნა ტრამპის მეორე ვადით არჩევით და, როგორც მან უწოდა, მემკვიდრის „ყაჩაღი მაგნატების“ ბანდამ. როგორც ჩანს, მას სჯერა, რომ არსებობის საკითხთან დაკავშირებული საფრთხე ახლა უფრო დიდია, ვიდრე მაშინ, როდესაც მან დაიწყო 2020 წლის საპრეზიდენტო კამპანია, – წერს „სიენენი“.



დღეს მე მინდა გავაფრთხილო ქვეყანა საკითხებზე, რომელიც ჩემს დიდ შეშფოთებას იწვევენ, – თქვა ბაიდენმა. მან ერთ ასეთ საკითხად დაასახელა „ძალაუფლების სახიფათო კონცენტრაცია ძალიან მცირერიცხოვანი სუპერმდიდარი ადამიანების ხელში“ და გააფრთხილა, რომ თუ მათი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეუმჩნეველი დარჩება, ამას სახიფათო შედეგები მოჰყვება.

პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონის მსგავსად გამოსამშვიდობებელ სიტყვაში, ბაიდენმა გააფრთხილა დემოკრატიის ირგვლივ ქარიშხლები“.

**„დღეს ამერიკაში ყალიბდება უკიდურესი სიმდიდრის, ძალაუფლებისა და გავლენის ოლიგარქია, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნის მთელ ჩვენს დემოკრატიას, ჩვენს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და ყველას თანაბარ შანსს წარმატების მისაღწევად“**, – თქვა მან.

მან ასევე ისაუბრა საშიშროების ახალ ეპოქაზე, რომელიც მომდინარეობს სოციალური მედიისა და ხელოვნური ინტელექტის და ასევე იმ ტექნიკური მილიარდერების და მილიონერებისგან, რომლებიც ბინადრობენ ტრამპის ახალ ადმინისტრაციაში.

მე ასევე შეშფოთებული ვარ ტექნიკური ინდუსტრიული კომპლექსის პოტენციური ზრდის გამო, რამაც ჩვენს ქვეყანასაც შეიძლება შეუქმნას რეალური საფრთხე. **„ამერიკელები ჩაფლულები არიან უნებლიე და მიზანმიმართული დეზინფორმაციის ნაკადში, რაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საშუალებას იძლევა. თავისუფალი პრესა ინგრევა... სოციალური მედია უარს ამბობს ფაქტების შემოწმებაზე. ძალაუფლებისა და სარგებლისთვის ნათქვამი სიცრუით ითრგუნება სიმართლე“**, - თქვა ჯო ბაიდენმა.

## ისრაელის მთავრობა „ჰამასს“ ადანაშაულებს!

**ისრაელის მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ჰამასმა“ უკან დაიხია ზოგიერთი შეთანხმებიდან და ქმნის ბოლო წუთის კრიზისს მძევლების გათავისუფლების შეთანხმების დასრულებაში.**

„ისრაელის კაბინეტი არ შეიკრიბება, ვიდრე შუამავლები არ შეატყობინებენ ისრაელს, რომ „ჰამასმა“ მიიღო შეთანხმების ყველა ელემენტი“, – აღნიშნულია განცხადებაში.

15 იანვარს კატარის მთავრობამ ისევე, როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადეს, რომ შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ამტკიცებს, რომ საბოლოო შეთანხმება არ არის დადებული და დარჩენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი.



**ცნობისთვის, ისრაელის მედიამ აშშ-ის და არაგ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ისრაელმა და „ჰამასმა“ ცეცხლის შეწყვეტისა და მძევლების გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს.**

## უკრაინის აღდგენას ათობით წელი და ასობით მილიარდი დოლარი დასჭირდება!

**დონალდ ტრამპის მიერ სახელმწიფო მდივნის პოსტზე წარდგენილი მარკო რუბიოს განცხადებით, „არარეალურია იმის დაჯერება, რომ უკრაინა რუსულ ძალებს 2022 წლამდე არსებულ პოზიციებზე დააბრუნებს“.**

მისი თქმით, უკრაინის ინფრასტრუქტურა იმდენად სწრაფად ნადგურდება, რომ მისი აღდგენა მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ასობით მილიარდი დოლარი დაჯდება.

მარკო რუბიოს განცხადებით, აშშ-ის მიზანი ომის დასრულება უნდა იყოს, თუმცა, არსებული სურათი რეალისტურად უნდა შეფასდეს.

მისივე თქმით, ორივე მხარეს – უკრაინასაც და რუსეთსაც მოუწევთ დათმობაზე წასვლა.

„ეს ომი უნდა დასრულდეს და ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს აშშ-ის ოფიციალური



პოლიტიკა – ჩვენ გვინდა ომის დასრულება. მნიშვნელოვანია, რომ ყველამ რეალისტურად შეხედოს სიტუაციას. დათმობებზე წასვლა მოუწევს რუსეთის ფედერაციას, მაგრამ ასევე – უკრაინელებს“, – აღნიშნავს სახელმწიფო მდივნის პოსტზე წარდგენილი მარკო რუბიო.

# კახა კალაძის საახალწლო საჩუქარი სამტრედიელებს

**კახა კალაძემ სამტრედიაში მცხოვრებ ადეიშვილების ოჯახს საჩუქრად სახლი გადასცა. ამის შესახებ ინფორმაციას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.**

**მათივე ცნობით, ტრადიცია გრძელდება – ძველით ახალი წელი თბილისის მერმა კახა კალაძემ მხოგლიურ სამტრედიას საზეიმო კონცერტით მიულოცა და სამტრედიაში მცხოვრებ ადეიშვილების ოჯახს საჩუქრად საცხოვრებელი სახლი გადასცა.**

**მარტოხელა მამას გოჩა ადეიშვილს, რომელიც სამ შვილს ზრდის, ამ დრომდე საკუთარი საცხოვრებელი არ გააჩნდა.**

**სახლის გასაღები ოჯახს საზეიმო კონცერტზე კახა კალაძემ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა დავით გახტაძემ პირადად გადასცეს. საზეიმო კონცერტი ტრადიციულად, ძველით ახალ წელს, კახა კალაძის ინიციატივით ტარდება.**



**საახალწლო კონცერტი სამტრედიის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა, სადაც ადგილობრივების წინაშე ქართველი შემსრულებლები წარდგნენ.**



**„რვა წელია, მარტო ვზრდი სამ შვილს, ამას ემატებოდა უსახლკარობა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია. დღეს ბედნიერი დღე გვაქვს მე და ჩემს შვილებს, ბატონმა კახა კალაძემ საჩუქრად გადმოგვცა საცხოვრებელი სახლი. მადლობა მას ჩემი ოჯახის სახელით“, – განაცხადა გოჩა ადეიშვილმა.**



**საცხოვრებელი სახლები კიდევ ორმა ოჯახმა მიიღო საჩუქრად, რომელიც კომპანიამ „არქი“ და ბიზნესმენმა ლევან თარგამაძემ გადასცეს.**



# ვის სურს ოკუპირებული აფხაზეთის ლიდერობა?

## ყველაფერი, რაც უნდა იცოდეთ კანდიდატების შესახებ

**2025 წლის 15 თებერვალს ოკუპირებულ აფხაზეთში ახალ ლიდერს აირჩევენ. დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 2024 წლის 19 ნოემბერს, სოხუმში მრავალდღიანი საპროტესტო აქციების გამო თანამდებობა დატოვა 2020 წელს არჩეულმა ასლან ბჟანიამ.**

**კანდიდატების რეგისტრაცია ოფიციალურად 15 იანვარს დასრულდება, თუმცა ადგილობრივი მიმომხილველების მიხედვით, უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებლებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ ხუთ კანდიდატს შორის:**

**ბადრა გუნბა, დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი;**

**ადგურ არძინბა, დე ფაქტო ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, ოპოზიციური „აფხაზეთის სახალხო მოძრაობის“ ლიდერი;**

**ოლეგ ბარციცი, აფხაზეთის ყოფილი დე ფაქტო სავაჭრო წარმომადგენელი მოსკოვში;**

**რობერტ არშბა, აფხაზეთის დე ფაქტო კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი;**

**ადგურ ხურხუმალი, კომერციულ ბანკ „შავი ზღვის განვითარების ბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე;**

არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვეს ბიზნესმენმა **ბესლან კვიციniam**, ოპოზიციონერმა დეპუტატმა და „აიდგილარას“ ხელმძღვანელმა **კან კვარჩიამ** და სახალხო პარტიის ლიდერმა **შამილ აძინბამ.** კან კვარჩიას თქმით, მან გადაწყვეტილება მიიღო ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. კვარჩია 2024 წლის 19 დეკემბერს პარლამენტის შენობაში დაჭრა კოლეგა-დეპუტატმა ადგურ ხარაზიამ.

დე ფაქტო რესპუბლიკის კანონმდებლობით, კანდიდატების ოფიციალური რეგისტრაცია 6 იანვარს დაიწყო და 16 იანვარს დასრულდა.

აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის კომიტეტის სხდომაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს **ვახტანგ გოლანძიას** ხსოვნას.

### ბადრა გუნბა



**ბადრა გუნბა** 2020 წელს არჩეული დე ფაქტო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია. დაიბადა 1981 წელს სოხუმში, სოხუმშივე დაამთავრა საშუალო სკოლა. ასაკის გამო მონაწილეობა არ მიუღია 1992-93 წლების ომში.

განათლება: უმაღლესი ეკონომიკური განათლება მიიღო რუსეთში – სარატოვის ვავილოვის სახელობის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში. სპეციალობა – ბუღალტერია და აუდიტი.

კარიერა დაიწყო სარატოვის ადმინისტრაციის ფინანსურ განყოფილებაში, სადაც მუშაობდა 2004-2006 წლებში. 2007 წელს გუნბამ დაიცვა დისერტაცია და მიიღო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ მალე გახდა სამთავრობო სტრუქტურების ნაწილი. თავდაპირველად მუშაობდა ე.წ. მინისტრთა კაბინეტში იურიდიულ მრჩევლად, შემდეგ – კულტურის მინისტრის მოადგილედ. 2011 წლიდან 2019 წლამდე ბადრა გუმბა იყო დე ფაქტო რესპუბლიკის კულტურის მინისტრი.

2020 წელს პოლიტიკურმა პარტიებმა „აიტაირამ“ (რომელიც ალექსანდრ ანქვაბის მიერაა დაფუძნებული) და „ამცახარამ“ გუნბას შესთავაზეს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა და ასლან ბჟანიასთან ერთად საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. შესაბამისად, ასლან ბჟანიას გადადგომამდე ბადრა გუნბა იყო დე ფაქტო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი.

ბადრა გუნბა მხარს უჭერდა ე.წ. აპარტამენტების კანონის მიღებასა და რუსეთთან საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებას, რის გამოც ასლან ბჟანიასა და პრემიერ-მინისტრ ალექსანდრ ანქვაბს თანამდებობების დატოვება მოუწიათ.

„ახლა გუნბა არის იმ რუსული ბიზნესჯგუფების მთავარი გარანტი, რომლებიც აფხაზეთის ათვისებით არიან დაკავებული. ამასთან ერთად, თავად ბადრა გუნბას აქვს აფხაზეთში საკუთარი აქტივები, რომლებსაც ასევე სჭირდება დაცვა. დამოუკიდებელი წყაროების მიხედვით, გუნბა კრიპტოფერმების ერთ-ერთი უმსხვილესი მფლობელია: თანამდებობის გამოყენებით, მწვავე ენერგეტიკული კრიზისის დროს იგი პირადად არწმუნებდა დეპუტატებს, არ დაეჭირათ მხარი ენერგოკრიზისის გამომწვევი მაინინგის ამკრძალავი კანონისათვის. ის ასევე იღებდა შეღავათიან რუსულ სესხებს, რომლებიც განკუთვნილი იყო აფხაზი მეწარმეებისთვის“, – წერს აფხაზი პოლიტოლოგი იზიდა ჭანია, რომლის თქმით, ბადრა გუნბა, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, ეყრდნობა ჩინოვნიკებისა და სომეხი ელექტორატის მხარდაჭერას.

„კიდევ ერთი სერიოზული სეგმენტი კორუმპირებული ჩინოვნიკების „კლუბია“, რაც ასევე მნიშვნელოვანი ელექტორალური რესურსია. ასე რომ, ანქვაბ-ბჟანიას გუნდს ბადრა გუნბას სახით ძალაუფლების აღდგენის საკმაოდ რეალური შანსი აქვს“, – ამბობს იზიდა ჭანია.

15 იანვრის, ანუ ე.წ. საპრეზიდენტო კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირების შემდეგ ბადრა გუნბას მოუწევს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გადადგომა. დე ფაქტო რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ამ პოსტს ე.წ. პრემიერ-მინისტრი დაიკავებს.

### ადგურ არძინბა



**ადგურ არძინბა** ოპოზიციური „აფხაზეთის სახალხო მოძრაობის“ ლიდერი, დე ფაქტო ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და ექსპრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მთავრობის ვიცე-პრემიერია. ადგურ არძინბა მონაწილეობდა 2020 წლის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელშიც ხმების 35% მიიღო. არჩევნების შემდეგ შექმნა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია „აფხაზეთის სახალხო მოძრაობა“, რომელიც მხარს უჭერდა მთავრობასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, სთავაზობდა მას რეფორმების გატარებასა და საგზაო რუკის შედგენას ენერგეტიკის სექტორის აღსადგენად. ადგურ არძინბა მწვავედ აკრიტიკებდა ასლან ბჟანიას მთავრობის შედეგ ინიციატივებს:

ე.წ.აპარტამენტების კანონის მიღება;

ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის რუსეთის დაცვის ფედერალური სამსახურისთვის გადაცემა;

ენერგოსისტემის პრივატიზაცია;

რუსეთ-აფხაზეთს შორის საინვესტიციო შეთანხმების გაფორმება;

დენის ტარიფის გაზრდა.

„ადგურ არძინბა თავის გამოსვლებში ხაზს უსვამს ამჟამინდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობას ქვეყნის დაშლაში. მოითხოვს სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას კორუფციაში ჩართული სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ. სამი წელია სასამართლოში უჩივის პროკურატურას, რომელიც აჭიანურებს „აჩიგვარის“ მაღალი ძაბვის ხაზის მშენებლობის დროს სახელმწიფო ქონების დატაცების გამოძიებას“, – ამბობს პოლიტოლოგი იზიდა ჭანია.

ადგურ არძინბა გუდაუთიდანაა, დაიბადა 1981 წელს. ასაკის გამო, მონაწილეობა არ მიუღია 1992-93 წლების ომში. დამთავრებული აქვს ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ინჟინერიის სპეციალობით. 2009 წელს არძინბამ დაიცვა დისერტაცია და მიიღო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი, რის შემდეგაც ის დაბრუნდა სამშობლოში, სადაც დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში.

2020 წლის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისას მისი საარჩევნო პროგრამა ითვალისწინებდა ეკონომიკის მოდერნიზებას, საერთაშორისო კავშირების გაძლიერებასა და კორუფციასთან ბრძოლას.

არჩევნებში წაგების შემდეგ არძინბა გახდა აფხაზური ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, რომელმაც დააარსა აფხაზეთის სახალხო მოძრაობა. ის აქტიურად აკრიტიკებდა ასლან ბჟანიას მთავრობას საშინაო პოლიტიკის არაეფექტიანობისა და კორუფციის გამო.

ადგურ არძინბა ასოცირდება აფხაზეთის პირველი ლიდერის, ვლადისლავ არძინბას გუნდთან. ადგილობრივი მიმომხილველების თქმით, ვლ. არძინბა დღეს ალბათ ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ფიგურაა აფხაზეთში. შესაბამისად, მისი მემკვიდრეობის მხარდაჭერა მნიშვნელოვან წონას ანიჭებს ადგურ არძინბას პოლიტიკურ კარიერას.

**ადგურ არძინბას ბჟანიას პოლიტიკაში განსაკუთრებით სახიფათოდ მიაჩნია აპარტამენტების შესახებ კანონი და რუსეთ-აფხაზეთს შორის საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმება. არძინბას თქმით, ამ კანონებით იხეირებენ მხოლოდ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები, მათ შორის რუსული პასპორტების მფლობელი ქართველი ოლიგარქები: „უნდა ითქვას, რომ ვაცნობიერებთ ქართული ოლიგარქიის ჩვენს ქვეყანაში შემოღწევის საფრთხეს იმის გათვალისწინებით, რომ ბატონმა ბჟანიამ ფარულად ჩამოიყვანა რამდენიმე ქართველი დეპუტატი აფხაზეთში და, ჩვენი ინფორმაციით, აქტიურად ურთიერთობდა რუსეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან“.**

***

### ოლეგ ბარციცი

**ოლეგ ბარციცი** პოზიციონირებს როგორც „მესამე ძალა“, დამოუკიდებელი კანდიდატი, რაც ღიმილს იწვევს ადგილობრივ მიმომხილველებში. ოლეგ ბარციცი ასევე არ არის 1992-93 წლების ომის მონაწილე, რის გამოც მას გამუდმებით უწევს თავის მართლება.

ოლეგ ბარციცი დაიბადა 1967 წელს გუდაუთაში. 1985 წელს ჩააბარა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 1986-1988 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში. 1996 წელს დაამთავრა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს აკადემია. 2002 წელს გახდა რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს სამრეწველო განვითარების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 2005 წელს ბარციცმა მუშაობა დაიწყო რუსეთში აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში. 2010 წლიდან რუსეთში აფხაზეთის სავაჭრო წარმომადგენელია.

ოლეგ ბარციცის ბიოგრაფიას აკლია აფხაზი ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია – მისი მონაწილეობა 1992-1993 წლების ომში. ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის ახსნა მან 2019 წელს აფხაზეთის სახელმწიფო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში სცადა:

„1992 წლის 14 აგვისტოს, როცა აფხაზეთში სამხედრო მოქმედებები დაიწყო, გადავედი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მეხუთე კურსზე, ამიტომ ვიმყოფებოდი მოსკოვში. 16 აგვისტოს, სხვა აფხაზ სტუდენტებთან ერთად, დავტოვეთ მოსკოვი, გავემართეთ ჩრდილოეთ კავკასიაში და მოვიარეთ ისეთი ქალაქები, როგორიცაა ჩერკესკი და ნალჩიკი. აი, გროზნოში კი, ბოლოს და ბოლოს მოვახერხეთ ყველაფერ იმის მიღება, რაც გვჭირდებოდა. შემდეგ ჩეჩენი და ყაბარდოელი მოხალისეების ჯგუფთან ერთად, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და უღელტეხილის გავლით, გადავლახეთ კავკასიონის ქედი და ჩამოვედით აფხაზეთში, თუმცა მალევე, ჩემი ქრონიკული დაავადების გამწვავების გამო, მოსკოვში დამაბრუნეს სამკურნალოდ“.



ოლეგ ბარციცი წლების განმავლობაში ცხოვრობდა მოსკოვში და, შესაბამისად, არ მონაწილეობდა აფხაზეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, თავის პოზიციას აფიქსირებდა უკიდურესად იშვიათად და ისიც მხოლოდ პროპაგანდისტული **Sputnik**-ის მეშვეობით. ბარციცი დაჟინებით იჩემებს ნეიტრალურობას, მაგრამ ბევრს ახსოვს, რომ 2019 წელს არჩევნებში ის მონაწილეობდა ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატის სტატუსით ალექსანდრ ანქვაბის პროტეჟე ოლეგ არშბასთან ერთად. მაშინ არშბა-ბარციცის ტანდემმა ხმების 20%-ზე მეტი მიიღო. 2025 წლის 15 თებერვლის არჩევნებზე ბარციცი თავისი გაურკვეველი არასამხედრო წარსულის შენიღბვას ცდილობს ომის ვეტერან ადგურ კაკობათი, რომელიც მან თავის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად შეარჩია.

„ამ გუნდს აქვს შანსი, არა მხოლოდ ოპოზიციის კანდიდატს წაართვას ხმები, არამედ მეორე

გაგრძელება მე-8 გვ.




პაატა ნაცვლიშვილი

# ფეისბუქი-2024, რჩეული პოსტები

1 აპრილი, 2024

## ჰოდა, ლექსი-2 ანუ სახით ჩვენკენ

**ჰოდა, აი, ეს გოგო რომ მიყვარს, გუშინ უკვე ვთქვი. გუშინწინ შემიყვარდა. ვთხოვე და სახით მოტრიალდა ჩვენკენ. ისიც ვთქვი, თქვენც შეგიყვარდებათ-მეთქი. თუმცა ჯერ სადა ხართ – ხვალ „ლექსი-3“ უნდა ნახოთ.**



2 აპრილი, 2024

## ჰოდა, ლექსი-3

**ჰოდა, ორი დღეა ჩემი ახალი შეყვარებულის სურათებს ვდებ – თუ სახით იქით, თუ სახით აქეთ.**

ჰოდა, ასეთი ლამაზი გოგო ვის არ შეუყვარდებაო, – ყველამ ერთხმად აღნიშნა.

ჰოდა, ისე, საერთოდ კომენტარები ცოტა იყო, არ გახლდათ ადვილად გასაგები და აღსაქმელი ჩემი შეყვარებულობის ასეთი აფიშირება, მაგრამ პირველივე კომენტარი უკვე ძალიან საინტერესო იყო: ლექსები, სად ვნახოთო, – ერთგულმა მეგობარმა დამიკომენტარა.

ჰოდა, მეორემ – და ნინიმ, რაოო? – ჩემს მეუღლეზე მკითხა.

ჰოდა, ამას იქვე ვუპასუხე – ნინიმ იცის, რომ ზევრი ვარ-მეთქი.

ჰოდა, ერთ-ერთი ჩემთაგანი როზაქიძის უნივერსიტეტში რამდენიმე საგანს უკითხავს სტუდენტებს და მათ შორის – ინტერნეტ-მედიასა და ბლოგინგს.

ჰოდა, ამას წინათ სტუდენტებს ვთხოვე, ამოერჩიათ მათთვის საინტერესო ბლოგერები უკვე უსაშველოდ გაზრდილი ბლოგოსფეროდან და მიედევნებინათ მათი ბლოგებისთვის თვალი.

ჰოდა, მერე მეც დავიწყე ახალი ბლოგერების ძებნა – კარგა ხანია, ძველებს ვკითხულობ და ახალი არ მიძებნია, რა იცი, რა ხდება ბლოგოსფეროში უჩემოდ-მეთქი, ვიფიქრე. სტუდენტებს რომ ავალებ, აბა, შენ თავად მოძებნე-მეთქი.

ჰოდა, კიდევ კარგი, რომ ასე ვიფიქრე: სტუდენტების პარალელურად რომ ვეძებდი ახალ ბლოგერს, სწორედ მაშინ ვიპოვე ეს ჩემი ახალი ბლოგერი და მაშინვე შემიყვარდა: **ლექსი ალფორდი.** დიახ – ლექსი მისი სახელია.

ჰოდა, ეს ლექსი ბლოგერის გარდა, ვლოგერიც აღმოჩნდა, მშვენიერი ფოტოგრაფიც და რაც მთავარია მოგზაურიც. თანაც ისეთი მოგზაური, რომელთა რიცხვი დედამიწაზე კოსმონავტებზე უფრო ნაკლებია.

ჰოდა, ამიტომ მივუწერე იმ პირველ კომენტატორს, ლექსები სად ვნახოთო, რომ მკითხა: თვითონ არის ეს გოგო ლექსი-მეთქი.

ჰოდა, მეორე კომენტატორმა რომ დამამუნათა – ჰე, ახლა, გვითხარი, ვინაა, რას წერს ასეთს, რომ შეგიყვარდა, მოვკვდი ინტერესითო, – აქ უნდა ვუპასუხო. ეს გოგო რას და როგორ წერს, მერე მოგახსენებთ, ახლა კი ამ ერთი კვირის წინ, 26 მარტს ნიცაში დაასრულა თავისი 200-დღიანი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო – პირველი მსოფლიო მოგზაურობა ელექტრომობილით.

**ჰოდა, ამ ორასი დღის განმავლობაში ლექსი ალფორდმა ექვსი კონტინენტი მოიარა, 27 ქვეყანა მოიტოვა უკან და 30 ათას კილომეტრზე მეტი გაიარა მარტოდმარტომ. აქვე თუ გინდათ, მისი ფინიშის მოკლე ვიდეოსაც დავდებ: https://www.youtube.com/watch?v=koZatUHwc_Y**

ჰოდა, როგორ ფიქრობთ, რა ფირმის უნდა ყოფილიყო ელექტრომობილი, რომლითაც ლექსი ალფორდმა ეს თავისი მოგზაურობა განახორციელა? დიახ, რა თქმა უნდა, ეს იყო „ფორდი“ – ლექსივით გარითმული ჩემი ახალი შეყვარებულის სახელთან.

ჰოდა, იმედი მქონდა, რომ ჩემი სტუდენტები სხვაზე ადრე მიხვდებოდნენ, ვინ იყო ლექსი და რატომ შემაყვარა თავი, ბავშვობიდან მოგზაურობაზე შეყვარებულს. თავსატეხსაც ამოხსნიდნენ – ჩვენ ბევრი ასეთი თავსატეხი გვიკეთებია ინტერნეტში, იუმორითაც იხალისებდნენ და დროში გაწელილი ნიუსის მშვენიერებითაც ისიამოვნებდნენ.

ჰოდა, სტუდენტები ვერა, მაგრამ პოეტი მიხვდა ყველაფერს. თემო ჭახნაკიამ, რომელიც როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობს თავს ინტერნეტში, სწორად გამოიყენა ინტერნეტის შესაძლებლობები, არც ბევრი დრო დაუკარგავს და თავისი მიგნება-კომენტარი მხოლოდ ოთხი ციფრით გამოხატა – 1998.

ჰოდა, ეს ჩემი ახალი შეყვარებულის დაბადების წელია. ალექსის როუზ ალფორდი ნევადაში დაიბადა 1998 წლის 10 აპრილს და ჩემზე სულ რაღაც ნახევარი საუკუნით არის უმცროსი. თითქმის.

ჰოდა, სიყვარულმა ხომ არ იცის იაპონური ვირუსი, სახელად ასაკი! ლექსი ათიოდე დღეში 26 წლისა ხდება!

**ჰოდა, ჩემი სტუდენტები მასთან შედარებით ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან. დარწმუნებული ვარ, 26 წლისანი რომ მოიყრებიან, თუ ელექტრომობილებით დედამიწას ვერ შემოუვლიან, თემო ჭახნაკიაზე სწრაფად ამოხსნიან ამგვარ სახალისო თავსატეხს. ჩემი ახალი შეყვარებული, რაგინდ ლექსი ერქვას სახელად, არც ერთ ჩემს სტუდენტზე მეტად არ მიყვარს!**

ჰოდა, ერთი ჩემთაგანი ცდილობს, რომ ინტერნეტი ახალგაზრდობისთვის მხოლოდ ფეისბუქის უშინაარსო სქროლვა და ინსტაგრამის ნარცისობა არ იყოს და უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტაში დაეხმაროს, გაუფართოოს ჰორიზონტი, მიეხმაროს საჭირო ინფორმაციის მოძიებაში, გაუადვილოს კომუნიკაცია.

ჰოდა, ამიტომ არც ეს შემთხვევა მინდა გავუშვა და ვთხოვ, ჩემს დღევანდელ სტუდენტებს – ლიზის, მარიას, ანამარიას და ნინის, თავ-თავიანთ ჩატებში გაავრცელონ ლექსის ამბავი! სემესტრის ბოლოს იქნებ კიდევაც მოვიკითხო იგი, თუ საზეპიროდ არა, მოკლე შინაარსად მაინც, როგორც განვლილი მასალის გამეორება. შეიძლება ამ ყველაფრით ძველი სტუდენტებიც დაინტერესდნენ. არა, გვანცა?

ჰოდა, კვალის კიდევ უფრო ადვილად მისაგნებად, იმასაც ვიტყვი, რომ ლექსი ალფორდმა ფორდთან დაკავშირებული მშვენიერი გვარი შეიცვალა და ქართულად არცთუ კეთილხმოვანი ლიმიტლესი არჩია: ლექსი ლიმიტლესი.

**ჰოდა, თუ რატომ, ამას ხვალ გიამბობთ. ეძებეთ ლექსი-4.**

3 აპრილი, 2024

## ჰოდა, ლექსი-4

**ჰოდა, აქ მინდოდა ლექსი ალფორდის წიგნის შესახებ მელაპარაკა, რომლის სამი თავი მან თუ მისმა მენეჯერმა მეილით გამომიგზავნა. მინდოდა, მელაპარაკა მის მიერ საქართველოში ჩამოსვლაზე და თბილისში ყოფნაზე, მაგრამ ჩემმა სტუდენტებმა, მათ შორის ერთმა განსაკუთრებით, ჩემი გეგმები არია: ჯერ იყო და წუხელვე მეორეკურსელმა სანდრო ბრაგვაძემ მომწერა, მე ვიცი, რატომ დაირქვა ლექსი ალფორდმა ლექსი ლიმიტლესი – მან ჩრდილოეთ კორეაშიც კი შეაღწია, ყველა ქვეყანა მოიარა და მისი მიზნები თუ შესაძლებლობები მართლა უსაზღვროა. თავისი მეტსახელით კი მან სწორედ ამას გაუსვა ხაზიო.**

ჰოდა, მერე იყო და დღეს, ბლოგინგის ლექციაზე, მეოთხეკურსელმა ქეთო მარტიაშვილმა გამაოცა, რომელსაც თურმე მხოლოდ ჩემი საგანიღა დარჩენია დიპლომის აღებამდე. არადა, ეტყობა სწორედ ამით წახალისებულმა თუ მოტივირებულმა, ყველას აჯობა და დღევანდელ ლექციაზე თავისი ტექსტი წარმოადგინა განსახილველად, – პირველივე ფოტოს გამოქვეყნებისთანავე გავარკვიე, რაშიც იყო საქმე, უბრალოდ კომენტარის დადება ვერ გავბედეო. ლექციების გაცდენას-კარგად ბედავ-მეთქი, ვეხუმრე და თანაც შევაქე – ამ ტექსტს თუ დადებ ფეისბუქზე, აუცილებლად გავაზიარებ-მეთქი, შევპირდი.

(ჰოდა, თუმცა თვითონაც მომნიშნა, მე მაინც გავაზიარე მისი პოსტი, მაგრამ მერე, როცა ამ პოსტს საგაზეთოდ ვამზადებდი, აღმოჩნდა, რომ წაეშალა, თუმცა უნდა მენდოთ, ყველაფერი ზუსტად ჰქონდა ახსნილ-განმარტებული.)

5 აპრილი, 2024

## ჰოდა, აი, ნიუსი!

**ჰოდა, რომელიღაც ბანალურ ვირუსს ევგენი კასპერსკის კომპიუტერში მთელი ინფორმაცია გაუნადგურებია!**

8 აპრილი, 2024

## ჰოდა, შემთხვევით დამთხვევის ანგელოზი

**ჰოდა, გასულ შაბათ-კვირას ძველ ჟურნალებს მივადექი ამ ჩემს ბიბლიოზეუმში და ვარჩევდი და ვახარისხებდი.**

ჰოდა, ერთი ძველი ჟურნალი შემხვდა – ინგლისურტიტულიანი რუსულენოვანი უკრაინული საოჯახო ჟურნალი, 2008 წლის აპრილის ნომერი. ოდესაში გამოდიოდა. ახლა გამოდის თუ არა, არ ვიცი. გარეკანზე კი იწონებს თავს ზელენსკი, მაგრამ მარტო ამის გამო ეს ჟურნალი ჩემთან არ აღმოჩნდებოდა-მეთქი. გადავშალე და მშვენიერი 6-გვერდიანი წერილია ჩვენს ნათესავზე ზურა კვაჭაძეზე, რომელიც მაშინ საქართველოს გენერალური კონსული იყო ოდესაში.

ჰოდა, რა თქმა უნდა, ჟურნალში არის ერთგვერდიანი ინტერვიუ ვლადიმირ ზელენსკისთან, რომელიც ალიონა სერკელს ჩაუწერია.

ჰოდა, არის ამ ინტერვიუში რამდენიმე კითხვა-პასუხი, რომლებიც დღეს, 16 წლის შემდეგ სხვაგვარად ჟღერს და სხვაგვარ პასუხებსაც ითხოვს.

ჰოდა, აი, მაგალითად, ერთ-ერთი კითხვა, რომელსაც ჟურნალისტი უსვამს ვლადიმირ ზელენსკის: „როგორი იყო მამათქვენის (იმ უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერ-თანამშრომლისა, სადაც თქვენ სწავლობდით) რეაქცია, როცა გაიგო, რომ თქვენ იურისტი კი არა, იუმორისტი იქნებოდით?“

ჰოდა, აი, მეორე კითხვა, უფრო სწორად – ზელენსკის პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე – **გაქვთ თუ არა საყვარელი ხუმრობა? ზელენსკი ალიონა სერკელს ეუბნება: „თანამედროვე ნამდვილმა მამაკაცმა თავის ცხოვრებაში არა სამი რამ, არამედ ოთხი რამ უნდა გააკეთოს: ააშენოს სახლი, დარგოს ხე, გაზარდოს ვაჟიშვილი და... გაუძლოს 8 მარტს.“**

ჰოდა, დღეს ზელენსკი ამას მეხუთე პუნქტსაც დაამატებდა: გაუძლოს ომს! ხოლო „ააშენოს სახლს“ მრავლობითი რიცხვში იტყოდა – რაც მას უკრაინაში დანგრეული სახლები ექნება ასაშენებელი...

ჰოდა, ცუკერბერგი არ მაძლევს საშუალებას, ჩემსავე გაზიარებულ პოსტს ფოტოები დავურთო. ამიტომ ჟურნალის გარეკანისა და ზელენსკის ინტერვიუს ფოტოები კომენტარებში დავდებ.

ჰოდა, არის მაინც ამ ქვეყნად შემთხვევის დამთხვევის ანგელოზი! ან ეშმაკი!

ჰოდა, ან ამ ჟურნალს რად გადავაწყდი გუშინ ათასობით სხვა ჟურნალში ჩაკარგულს ან დღეს რად ამომიგდო მემორიმ ეს პოსტი!

**ჰოდა, რა ეწერა ორი წლის წინანდელ იმ პოსტში, ახლავე მოგახსენებთ: „დღეს ერთი ჩემი ძველი სტუდენტი მეკითხება, ეს ზელენსკი მართლა გმირია, თუ უბრალოდ კარგი მსახიობია და მეტისმეტად გაითავისა როლიო? შენ როგორ ფიქრობ-მეთქი, – კითხვა შევუბრუნე და ვერაფერი მიპასუხა“.**

**ჰოდა, ვერაფერი გამიგია, ღმერთმანი?**








10 აპრილი, 2024

## უსაზღვრო ლექსის 26-სიტყვიანი პაატაური

ლექსი ლიმიტლესს 26-ე დაბადების დღეზე

ეს ლექსი მოჰყვა მაშინ
ზ ღ ვ ა უ რ ს ო,
როს შემიყვარდა ლექსი
უ ს ა ზ ღ ვ რ ო.
ჩავაწყვე ორჯერ ცამეტი
ს ი ტ ყ ვ ა,
სუყველა სიტყვა ვადარე
ტ ყ ვ ი ა ს.
როდესაც ცისქვეშ ოდენ
ა რ ი ს ზ ღ ვ ა,
არა აქვს ორჯერცამეტს
ს ა ზ ღ ვ ა რ ი.

**(ჰოდა, ეს ერთადერთი ლექსია ამ ჩემს რჩეულ პოსტებში. ლექსის ეძღვნება და იმიტომ.)**

გაგრძელება იქნება



## ბონდო მძინარაშვილი:

# პოლიტიკოსების არც ერთი გუნდი არ ღირს იმად, რომ ჟურნალისტები ერთმანეთს დავუპირისპირდეთ!

**ქვეყანაში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენებისა და ოპოზიციის მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ის, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაშია ქართული ჟურნალისტიკა. თითქმის აღარ არსებობს მიუკერძოებელი მედიაგამოცემა და ტელეკომპანიები ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის იდეოლოგიის პროპაგანდის შტაბად ჩამოყალიბდნენ. საქართველოში მედიის მდგომარეობაზე „რეპორტიორს" ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ბონდო მძინარაშვილი ესაუბრა:**

– ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული პროცესები მნიშვნელოვნად აისახება მედიის მდგომარეობაზე. პოლიტიკურმა პოლარიზაციამ მიგვიყვანა იქამდე, რომ მედია აქტიურად აღმოჩნდა ჩართული ამ მოვლენებში არა როგორც პროცესების უბრალოდ გამშუქებელი და მოსახლეობისთვის მიუკერძოებელი ინფორმაციის მიმწოდებელი, არამედ რეალურად ჩვენ ვხედავთ, რომ ძირითადად ტელევიზიები და ონლაინ მედიაგამოცემები არის მხარე. ეს სერიოზულად აზიანებს ჟურნალისტის, როგორც პროფესიის რეპუტაციას და ანგრევს ჟურნალისტიკას მთლიანად. ფაქტობრივად, ვხედავთ, რომ აქტიურმა პოლიტიკურმა პროცესმა ჟურნალისტები ერთმანეთს დააპირისპირა და პოლიტიკოსების მიერ ჟურნალისტების გამოყენებამ უკვე ფართო ინსტრუმენტალიზაციის სახე მიიღო. ეს ანგრევს ჩვენი პროფესიის მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობას. წლების განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან ყველაზე სანდო პროფესია იყო ჟურნალისტი. სამწუხაროდ, დღეს ასე აღარ არის და საზოგადოების ერთი ნაწილისთვის აბსოლუტურად მიუღებელია მეორე ნაწილის მიერ მოწონებული ჟურნალისტები და მათ მიერ სატელევიზიო სტუდიებში მიწვეული სტუმრებიც. ეს მთლიანად აისახება პროფესიაზეც. შემდგომ, უკვე ჟურნალისტების ერთმანეთთან დაპირისპირება გადმოდის საზოგადოებაზე.

***– თქვენი აზრით, გარკვეული ძალები მიზანმიმართულად ცდილობენ ჟურნალისტების მეშვეობით საზოგადოებაში დაპირისპირების გაღვივებას?***

– ჩვენ ვხედავთ, ტელევიზიებში როგორ შუქდება პროცესები. აგიტაცია-პროპაგანდა, რომელიც თავის დროზე ითვლებოდა, რომ იყო ფაშიზმისა და ბოლშევიზმის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი მოსახლეობაზე, საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის, დღეს სრულად არის წარმოდგენილი საქართველოში. ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობენ მედიასაშუალებები ცალკეული პოლიტიკური ძალების დღის წესრიგის აგიტაციას და მათი მიზნების შესაბამისად გაამრუდონ სიმართლე, დამალონ ნამდვილი ფაქტები.

***– როგორ გესახებათ ამ პრობლემის მოგვარება, რის გაკეთება შეიძლება ამის შესაჩერებლად?***

– უპირველესად, საზრუნავია ის, რომ გავუფრთხილდეთ ჩვენი პროფესიის პრესტიჟს და გავიაზროთ ის, რომ ჩვენი პროფესიის უპირველესი ვალდებულებაა, საზოგადოებას მივაწოდოთ მიუკერძოებელი ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ყველა ინფორმაცია ობიექტური ვერ იქნება, თითოეულ ჩვენგანს აქვს საკითხებისადმი სუბიექტური დამოკიდებულება, ამისთვის არსებობს საავტორო გადაცემები, რომელშიც შეუძლია წამყვანს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სტუმართან საუბრისას ღიად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. მაგრამ არსებობს საინფორმაციო გამოშვებები, რომელშიც არ შეიძლება, მხარეები არ წარმოაჩინო და ცალკეულ მხარეს მიანიჭო უპირატესობა, მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიმართ კეთილგანწყობილი ხარ. ჩვენ ვხედავთ პოლიტიკოსების დამოკიდებულებას ცალკეული ჟურნალისტებისა და წამყვანების მიმართ, დამოკიდებულებას მედიასაშუალებების მიმართ, ვისმენთ განცხადებებს ამა თუ იმ მედიაგამოცემის აკრძალვის, მათთვის მიუღებელი ტელეკომპანიების დახურვის შესახებ, ეს არის კატასტროფა, როდესაც საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი თავს უფლებას აძლევს (გნებავთ პოლიტიკოსი იყოს და გნებავთ უბრალოდ ცნობადი სახე) და აცხადებს, რომ მომავალში სასურველი იქნება, მისთვის რომელიმე მედიასაშუალება დაიხუროს. არც ერთი ხელისუფლების მხრიდან მედიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი არ წაადგება საზოგადოებას სასიკეთოდ. არ შეიძლება, ამაზე მედიასაშუალებები თვალს ხუჭავდნენ, თავს იტყუებდნენ, თითქოს არაფერი ხდება. საბოლოო ჯამში ყველანი ვხვდებით, რომ ეს აისახება ჟურნალისტების ურთიერთდამოკიდებულებაზეც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მედიამენეჯერები მათ მიერ დასაქმებულ ჟურნალისტებს გაუფრთხილდნენ. ვიღაც დღეს მუშაობს ერთ მედიასაშუალებაში, ვიღაც მეორეში, ხვალ შეიძლება გაცვალონ ადგილები და სხვა მედიასაშუალებაში გადავიდნენ სამუშაოდ, არ შეიძლება ჟურნალისტებს შორის დაპირისპირების შექმნა. ამიტომ, ვთხოვ ჟურნალისტებს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი ურთიერთდაპირისპირებისა და ერთმანეთის ლანძღვისგან. არც ერთ პოლიტიკოსთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა არ ღირს იმად, რომ ჟურნალისტები ერთმანეთს დავუპირისპირდეთ.



***– ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა პირდაპირ ეთერში უყურებდა ძალადობრივ საპროტესტო აქციებს, ამ დროს, კეთდებოდა განცხადებები, რომ ეს იყო სპონტანური პროტესტი და მათ უკან არ იდგნენ პოლიტიკური პარტიები. ამაში საკუთარ ტელემაყურებელს არწმუნებდნენ ოპოზიციური არხებიც. რამდენად დასაჯერებელია ყოველივე ეს?***

– შემდგომ ხომ აღმოვაჩინეთ, რომ ერთ-ერთი პარტიის ოფისში დიდი რაოდენობით პიროტექნიკა ინახებოდა? მერე პოლიტიკოსები აცხადებდნენ, რომ თურმე ეს პიროტექნიკა უბრალო მაშხალებია და ისინი ადამიანს არ აზიანებს. რა თქმა უნდა, ამის განხორციელებას არ ვაპირებ, მაგრამ ასეთი სურვილი გამიჩნდა, რომ ამეღო პიროტექნიკა და რომელიმე პოლიტიკოსისთვის, რომელიც აცხადებდა, რომ მაშხალები არის უსაფრთხო, მივსულიყავი და მისთვის სახეში მესროლა და მეთქვა: – გილოცავ ახალ წელს! ერთი დავინახავდი, როგორ ხასიათზე დადგებოდა. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორ ბესო გაფრინდაშვილს, რომელიც პირდაპირ ტრანსლაციას ახორციელებდა, მიუშვირა პიროტექნიკა და სახეში ესროლა. რომ არა კამერა, რომელმაც ფაქტობრივად გადაარჩინა ოპერატორი, ცეცხლის ბურთი მას სახეს მთლიანად დაუწვავდა და თვალებსაც ამოუწვავდა. ვინ აგებდა ამაზე პასუხს?! ჩვენ ვნახეთ არაერთი საპროტესტო აქცია წლების განმავლობაში, როგორ დაზიანდნენ და დაზარალდნენ ადამიანები. ამ საპროტესტო აქციებზეც წინასწარ იყო დაგეგმილი ძალადობა, სხვა შემთხვევაში, ნოემბრის დამლევს არავინ ყიდულობს უამრავი რაოდენობით პიროტექნიკას. საახალწლოდ პიროტექნიკას ხალხი ყიდულობს მცირე რაოდენობით, იმისთვის, რომ 31 დეკემბერს ღამის 12 საათზე გაისროლონ. ნოემბრის დამლევს ასიათასობით პიროტექნიკას არავინ ყიდულობს და ოფისებში არ აწყობს.

***– საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ ძალადობრივი აქციის ორგანიზატორებს არ უზრუნიათ თუნდაც მათივე მხარდამჭერი ჟურნალისტების უსაფრთხოებაზე. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „საკრალური მსხვერპლი" შესაძლოა რომელიმე ჟურნალისტი გამხდარიყო?***

– აბსოლუტურად არავინ, მათ შორის, არც აქციის ორგანიზატორების მხარდამჭერი ჟურნალისტები, ოპერატორები და ფოტორეპორტიორები არ იყვნენ გაფრთხილებულები, თუ რა ფორმა ექნებოდა აქციას, ფაქტობრივად, ჟურნალისტები დარჩნენ დაუცველები იმ სივრცეში, როდესაც აქციის აგრესიული მონაწილეები იყვნენ დაცულები. ჟურნალისტებს არ ჰქონდათ შესაბამისი აღმნიშვნელი ნიშნები, რასაც უკვე შემდგომ დღეებში ისინი იყენებდნენ. მართლა ყველა ფიქრობდა, რომ ეს აქციები იქნებოდა მშვიდობიანი, როგორიც დღეს არის, როდესაც არც ჩაფხუტები სჭირდებათ ჟურნალისტებს და არც თავის დაცვის სხვადასხვა საშუალება. ესეც არის ამ პოლიტიკოსების პასუხისმგებლობა. ასევე, მინდა აღვნიშნო ძალის გადამეტებასთან დაკავშირებით. ის, რაც მოხდა გურამ როგავასთან დაკავშირებით, ჩვენ დავინახეთ, რომ თითქმის 15-20 სმ დააკლდა, რომ გურამ როგავა უბრალოდ იმ მომენტში დაღუპულიყო. ის იმ პარაპეტს მთელი ძალით რომ შეხეთქებოდა თავით, რა თქმა უნდა, კისერში გადაიმტვრეოდა. ამიტომ, ასეთ დროს ძალის გადამეტებასთან დაკავშირებით, სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებსაც სჭირდებათ სერიოზული მომზადება იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ტრაგიკული შემთხვევები. მით უფრო, რომ ჟურნალისტი იმ მომენტში მიკროფონით იყო. ასევე, კატასტროფული იყო „ტვ პირველის" ჟურნალისტთან დაკავშირებული ინციდენტი. შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტი სიკვდილს გადაურჩა; ასევე ოპერატორი, რომელსაც წიხლებით შედგნენ. ეს არ შეიძლება ხდებოდეს. თუმცა, ყველას გვესმის, რომ ძალადობრივი აქციის ძალადობრივად დაშლის დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ მსგავსი აქციები ტრაგედიით არ დასრულდეს. ტრაგედიები აქციებთან დაკავშირებით საფრანგეთშიც ხდება, აშშ-შიც და ყველგან, ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული ცოდნა, თუ როგორ უნდა გაშუქდეს აქციები, ისევე, როგორც ომის ჟურნალისტიკა არსებობს. ყველა ჟურნალისტი ვალდებულია, აღმნიშვნელი ატრიბუტიკა ჰქონდეს. კიდევ ერთი საკითხი, რასთან დაკავშირებითაც აქტიურად საუბრობენ და რომელი მოსაზრების გავრცელებასაც აქტიურად უწყობენ ხელს ჟურნალისტები, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მიმართ გარკვეული ინდულგენციები. არავის არ აქვს ინდულგენცია, ვინც უნდა იყოს. კანონის წინაშე ყველა არის თანასწორი, თუ ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს, რა თქმა უნდა, მას უნდა მოეთხოვოს პასუხი, მაგრამ აუცილებელია, ეს იყოს სამართლიანი. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ყველას მიმართ სამართლიანობა და არა ცალკეული ადამიანების მიმართ ინდულგენციების გაცემა, რადგან ისინი ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები არიან.

***– ასევე მინდა შევეხოთ არასრულწლოვნების გამოყენებას პოლიტიკურ პროცესებში. აქაც საქმე ჟურნალისტების არაკომპეტენტურობასთან გვაქვს?***

– არსებობს სტანდარტი, რომ არასრულწლოვნის სახის ჩვენება კადრში არ შეიძლება, თუ არ არის სპეციალური საბავშვო გადაცემა ან სიუჟეტი რომელიმე ბავშვზე. დღეს ვხედავთ შემთხვევებს, როდესაც ჟურნალისტები დიდი სიამოვნებით აჩვენებენ ტელეეკრანებზე, როდესაც არასრულწლოვნები პოლიტიკური შინაარსის განცხადებებს აკეთებენ. ეს არის კატასტროფა. ძალადობრივი ხასიათის საპროტესტო აქციებზე სკოლის მოსწავლეების ადგილი არ არის. მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლები ვართ ყველანი.

***– ბოლო დღეებში ჩვენ ასევე ვიხილეთ ჟურნალისტების გარკვეული ნაწილის მიმართ აგრესიული მოქალაქეების თავდასხმები, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში შეჭრის ფაქტი, დღემადე გრძელდება საზმაუს ხელმძღვანელთა ბულინგი და გადადგომის მოთხოვნა...***

– საზოგადოებრივი მაუწყებელი დღეს ქვეყანაში არის ერთადერთი მიუკერძოებელი ტელევიზია. ამას ვამბობ არა როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, არამედ, როგორც მაყურებელი. ტელევიზიები გადაქცეული არიან პოლიტიკური პარტიების აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებებად. საზოგადოებრივ მაუწყებელზე თავდასხმა დღეს ნიშნავს საზოგადოების ინტერესებზე თავდასხმას და საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც ინსტიტუტის ფეხქვეშ გათელვის მცდელობას. ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც დღეს საზმაუწყებელს უპირისპირდება, თავად იყო ჩართული „მაუწყებლის შესახებ კანონის" მიღების პროცესში. დღეს ეს ადამიანები ცდილობენ, საზმაუწყებლის დღის წესრიგი დაადგინონ და შინაარსში შევიდნენ. ეუთო/ოდირის დასკვნამ დაადასტურა, რომ წინასაარჩევნო კამპანიას მიუკერძოებლად აშუქებდა საზმაუწყებელი. თუ ვინმე ამბობს, რომ ხელისუფლება უფრო მეტად შუქდებოდა, რა არის გასაკვირი? საზოგადოებრივი მაუწყებელი წინასაარჩევნო პერიოდში უარს ვერ იტყოდა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებაზე. ეს ესმის ეუთო/ოდირსაც, სწორედ ამიტომ მათ დასკვნაში პოზიტიურად არის შეფასებული საზოგადოებრივი მაუწყებლობა.

**შეიძლება დღეს ვიღაცას არ მოსწონდეს ისიც, რომ ოპოზიცია უფრო მეტად არის წარმოდგენილი მაუწყებლის ეთერში. გამომდინარე იქიდან, რომ ამ აქციებს ოპოზიცია მართავს, მათი გაშუქების დროს ოპოზიცია იქნება წარმოჩენილი. ჩვენ მზად ვართ კრიტიკისთვის, მაგრამ მიუღებელია მაუწყებლის ჟურნალისტებზე თავდასხმა.**

ესაუბრა

**შორენა ქარჩავა**

# ევროპაში მოგზაურობის წესები იცვლება!



**2025 წლიდან ევროპაში შესვლის წესები იცვლება, რომელიც მაისიდან ამოქმედდება.**

**„ცვლილება ეხება ევროკავშირში შესვლის წესებს და ეს ცვლილება ეხება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებსაც, მათ შორის არის საქართველო, ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა და სხვა დანარჩენი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები. პირველი ცვლილება – სანამ დაგეგმავთ ევროპაში მოგზაურობას, ვალდებულები იქნებით, სამოგზაურო ინფორმაციის სისტემაში გაიაროთ რეგისტრაცია, გადაიხდით 7 ევროს, 96 საათი დაელოდებით და მიიღებთ პასუხს, რომლის შედეგადაც შეძლებთ მოგზაურობას.**

**მე-2 ცვლილება: ახალი მონიტორინგის სისტემა, რაც ითვალისწინებს ჩვენი იდენტიფიცირების მიზნით სახის და თითის ანაბეჭდის აღებას, რაც შეამცირებს რიგებს და დროს. ამით შეიზღუდება ისეთი პირების შესვლა ევროპაში, რომლებიც დარღვევების მიუხედავად მაინც შედიან ევროპის ქვეყნებში".**

მეხუთე გვერდიდან

ტურშიც გავიდეს. თუმცა, დიდი ალბათობით, ოლეგ ბარციცი მოქმედებს როგორც დუბლიორი იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ოფიციალური კანდიდატი, ბადრა გუნბა ჩავარდება. არც ისაა გამორიცხული, რომ ბარციცმა უკან მოიტოვოს გუნბა", – ამბობს პოლიტოლოგი იზიდა ჭანია.

მიმომხილველების თქმით, ფორმულირებას, რომელსაც ოლეგ ბარციცი იყენებს სადავო კანონპროექტებთან დაკავშირებით, ძნელად შეიძლება ეწოდოს მკაცრი. ბარციცი არ ითხოვს ე.წ. აპარტამენტების კანონპროექტის და საინვესტიციო შეთანხმების გაწვევას პარლამენტიდან, როგორც ამას აფხაზური ოპოზიცია აკეთებს. ბარციცი გადახედვის მომხრეა. ის გამუდმებით უსვამს ხაზს იმას, რომ რუსეთი აფხაზეთის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი და სანდო პარტნიორია, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებებს.

„რეცეპტი მარტივია: არ უნდა მოვატყუოთ ჩვენი პარტნიორები, ჩვენი მოკავშირეები, სტრატეგიული მეგობრები და ძმები – რუსეთის ფედერაცია. გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ არსებულ პრობლემებზე, წინასწარ განვიხილოთ შეთავაზებები და მკაფიოდ გავაფრთხილოთ იმ ხაზებზე, რომელთა გადაკვეთაც არ შეგვიძლია", – ამბობს ოლეგ ბარციცი.

ოლეგ ბარციცი რუსეთთან სტრატეგიული კავშირისა და პარტნიორობის გაღრმავების მხარდამჭერია. მეტიც, მისი თქმით, მნიშვნელოვანია აფხაზეთის „აქტიური სვლა" საკავშირო სახელმწიფოში გაწევრებისკენ.



## როზერტ არშზა

**როზერტ არშზა** 1974 წელს დაიბადა ტყვარჩელში. ომის ვეტერანია. იყო დე ფაქტო რესპუბლიკის შრომისა და სოციალური განვითარების მინისტრი, ხელმძღვანელობდა კონტროლის პალატას.

სწავლობდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბუღალტერიისა და აუდიტის სპეციალობა); მონაწილეობდა 1992-1993 წწ. ომში.

როზერტ არშზამ კარიერა 1995 წელს დაიწყო გულრიფშის რაიონში წამყვანი საგადასახადო ინსპექტორის თანამდებობაზე. შემდეგ მუშაობდა აფხაზეთის ფინანსურ და სამთავრობო სტრუქტურებში – ფინანსთა სამინისტროს კონტროლისა და აუდიტის დეპარტამენტის სპეციალისტიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემდე.

2011 წელს დაინიშნა შრომისა და სოციალური განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 2013 წელს, ალექსანდრ ანქვაბის ინიციატივით, აფხაზეთის კონტროლის პალატის თავმჯდომარედ.

**როზერტ არშზა, ისევე როგორც ოლეგ ბარციცი, აქტიურად არ მონაწილეობდა აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ისიც წარმოადგენს დიდ, მრავალრიცხოვან გვარს. როგორც ადგილობრივი ანალიტიკოსები ამბობენ, როზერტ არშზას საარჩევნო კამპანიას, სავარაუდოდ, აფინანსებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი და „ერთიანი რუსეთის" პოლიტსაბჭოს წევრი ოთარ არშზა, რომელსაც თავისი აქტივების ნაწილი საქართველოშიც აქვს. აფხაზეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ ოთარ არშზა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე „ახძ-აფშას" („ღირსებისა და დიდების") ორდენით დააჯილდოვა.**

„ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ ის პროსახელისუფლებო დუბლიორია, რომლის ამოცანა ოპოზიციისთვის ხმების წართმევაა", – მიაჩნია პოლიტოლოგ იზიდა ჭანიას.

## ადგურ ხურხუმალი

**ადგურ ხურხუმალი დე ფაქტო პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი კანდიდატია. ოფიციალური წარდგენის მიუხედავად, მის შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია, რაც, ექსპერტების თქმით, ამომრჩევლებში უამრავ კითხვას აჩენს. მთავარი კითხვა, რომელიც საზოგადოებაში განიხილება, ასე ჟღერს: „მაინც ვინ არის ხურხუმალი?"**

სოციალური ქსელები და მედია აქტიურად ეძებენ ნებისმიერ ინფორმაციას მისი პიროვნების, შეხედულებებისა და საარჩევნო პროგრამის შესახებ. ბევრ კითხვას აჩენს ელემენტარული მონაცემების – ფოტოების, ბიოგრაფიული დეტალების ნაკლებობა.

ღია წყაროებიდან ცნობილია, რომ ადგურ ხურხუმალს კომერციული ბანკის „შავი ზღვის განვითარების ბანკის" გამგეობის თავმჯდომარის პოსტი უკავია. აფხაზურ სოციალურ ქსელებში ბევრს წერენ ბანკის კავშირების შესახებ საეჭვო ფინანსურ სქემებთან.

როგორც ადგილობრივი მიმომხილველები ამბობენ, აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო რბოლის აშკარა ფავორიტები ჯერ არ გამოკვეთილან, თუმცა შესაძლებელია, ახალმა სახელებმაც კი მნიშვნელოვნად იმოქმედონ გამოცდილ კანდიდატებს შორის ხმების განაწილებაზე.

**ჟიმშერ რეხვიაშვილი**
**ჟურნალისტი, ბლოგერი; პროზაული, პოეტური და დოკუმენტური კრებულების ავტორი. „რადიო თავისუფლებაში " მუშაობს 2003 წლიდან.**





# ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლი სტუდენტი

## სოფი შოლის ისტორია

**სოფი შოლი** გერმანელი სტუდენტი, არაძალადობრივი ანტინაცისტური ორგანიზაციის, „თეთრი ვარდის" წევრი გახლდათ. ის დაიბადა ბადენ-ვიურტემბერგის რეგიონის ქალაქ ფორხტენბერგში, სადაც თავის მამას, რობერტ შოლს მერის თანამდებობა ეკავა. ექვს და-ძმას შორის სოფი მეოთხე ბავშვი იყო. 1932 წელს ოჯახი გადავიდა ლუდვიგსბურგში, ორი წლის შემდეგ კი – ულმში, სადაც რობერტმა საბუღალტრო და საგადასახადო კომპანია შექმნა.

წიგნის მოყვარული სოფი განსაკუთრებით თეოლოგიით და ფილოსოფიით იყო გატაცებული. მამის, მისი მეგობრების და ზოგი მასწავლებლის მსოფლმხედველობა ძირეულად განსხვავდებოდა გერმანიაში 1933 წელს დამყარებული ნაცისტური იდეოლოგიისგან. მათი გავლენით, გოგონა კრიტიკულად განიმსჭვალა ხელისუფლების მიმართ. რამდენიმე წლის შემდეგ გესტაპომ დააკავა მისი და, ორ ძმასთან ერთად აკრძალულ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში საქმიანობის გამო.

სოფიმ 1940 წელს დაამთავრა სკოლა და საბავშვო ბაღის აღმზრდელად დაიწყო ულმში მუშაობა. ომთან დაკავშირებული საჭიროებების გამო, მალე ექთნის კურსებზე გაგზავნეს. შრომის ეროვნულ სამსახურში გამალებულმა ინდოქტრინაციამ და დესპოტურმა დისციპლინამ მის გონებაში დამატებითი პროტესტი წარმოშვა. 1942 წლის მაისში გოგონამ მიუნხენის უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც მისი 25 წლის ძმა ჰანსი სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა.

სოფის ორი ძმა მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე იბრძოდა, დედა ავადმყოფობდა, მამა კი, გასამართლების მოლოდინში საპატიმროში იმყოფებოდა იმის გამო, რომ თანამშრომელთან საუბრისას **ჰიტლერს „ღვთის წყევლა" უწოდა.** კონსპირაციულ ჯგუფში თავიდან ჰანს შოლი და მისი ოთხი მეგობარი იყვნენ, რომელთაც სოფი ენთუზიაზმით შეუერთდა. იატაკქვეშა სტუდენტური ორგანიზაცია „თეთრი ვარდი" სხვადასხვა მისამართზე ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი პროკლამაციების და გრაფიტის მეშვეობით მოუწოდებდა ხალხს გამოღვიძებისკენ.

ივლისში ჰანსი აღმოსავლეთის ფრონტზე გაიწვიეს მედიკოსად. საკუთარი თვალით ნანახმა ომის რეალობამ ის შეაძრწუნა. ნოემბერში გერმანიაში ჰანსის დაბრუნების შემდეგ სააგიტაციო ფურცლების დარიგება განახლდა.

მოწოდებებში აღნიშნული იყო, რომ ომს თან სდევდა საზოგადოების ეკონომიური და სულიერი დამონება, მორალური



**იატაკქვეშა სტუდენტური ორგანიზაცია „თეთრი ვარდი" სხვადასხვა მისამართზე ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი პროკლამაციების და გრაფიტის მეშვეობით მოუწოდებდა ხალხს გამოღვიძებისკენ.**

## ტრამპის ინაუგურაცია, მოძალადეების სამიზნე გახდება?!



„ამერიკის არჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაცია, შესაძლოა, ძალადობრივი ჯგუფების სამიზნე გახდეს" – ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა **Politico** ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, 20 იანვარს პოლიტიკურად დაძაბულ და პოტენციურად ძალადობრივ გარემოს ელიან. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოების საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო

ექსტრემისტებისგან ინციდენტებს არ გამორიცხავენ.

ტრამპის ინაუგურაციის ცერემონიისთვის ვაშინგტონში, ჯამში 25 000-მდე სამართალდამცველი და სამხედრო პერსონალი იქნება მობილიზებული.

## უკრაინამ და მოლდოვამ, შესაძლოა, არსებობა შეწყვიტონ



კრემლი არ გამორიცხავს, რომ 2025 წელს უკრაინამ საერთოდ შეწყვიტოს არსებობა, – ამის შესახებ რუსეთის უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა.

„ნეონაცისტური იდეოლოგიის ძალადობრივი აღსრულება და მძვინვარე რუსოფობია ანადგურებს უკრაინის ერთ დროს აყვავებულ ქალაქებს, მათ შორის ხარკოვს, ოდესას, ნიკოლაევს, დნეპროპეტროვსკს. შესაძლებელია, რომ მომავალ წელს უკრაინამ საერთოდ შეწყვიტოს არსებობა", – აღნიშნა პატრუშევმა.

მისივე თქმით, ბოლო წლებში უკრაინაში ფაშიზმი აყვავდა, რუსებისა და რუსულენოვანი ხალხის უფლებები დაირღვა, ნეონაციზმი გახდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ნაწილი.

ამასთან, პუტინის თანაშემწემ მოლდოვაზეც ისაუბრა და თქვა, რომ შესაძლოა, მოლდოვამაც შეწყვიტოს არსებობა.

„კიშინიოვის ანტირუსული პოლიტიკა გამოიწვევს იმას, რომ მოლდოვა სხვა ქვეყნის ნაწილი გახდება ან არსებობას შეწყვეტს", – აღნიშნა პუტინის თანაშემწემ.

## უკრაინის უმაღლესმა რადამ საომარი მდგომარეობა 9 მაისამდე გაახანგრძლივა



უკრაინის უმაღლესმა რადამ ქვეყანაში საომარი მდგომარეობა და საყოველთაო მობილიზაცია 2025 წლის 9 მაისამდე გაახანგრძლივა. შესაბამისი დადგენილება პარლამენტს პრეზიდენტმა წარუდგინა.

საომარი მდგომარეობის გახანგრძლივების გადაწყვეტილებას მხარი პარლამენტის 315-მა დეპუტატმა დაუჭირა, ხოლო საყოველთაო მობილიზაციის შესახებ 310-მა დეპუტატმა.

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან, ეს უკრაინაში საომარი მდგომარეობისა და საერთო მობილიზაციის გასახანგრძლივებლად ჩატარებული მე-14 კენჭისყრაა.



და რელიგიური ფასეულობების განადგურება, ამიტომ აუცილებელი იყო ომის შეჩერება, საზოტაჟი სამხედრო საწარმოებში, ოფიციალურ ცერემონიალებზე თუ საზოგადოებრივ ადგილებში.

როდესაც მესამე რაიხმა აღიარა სამხედრო კატასტროფა სტალინგრადთან, მიუნხენში კედლებზე გაჩნდა წარწერები „ძირს ჰიტლერი!“, „თავისუფლება!“, „ჰიტლერი – მკვლელი!“.

***

**ბავარია** ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის აკვნად მიიჩნეოდა, საომარი მდგომარეობის პირობებში ხელისუფლების პოზიციების გაზიარებაზე უარის თქმა კი, უკვე დანაშაულად განიხილებოდა. 1943 წლის 18 თებერვალს სტუდენტები უნივერსიტეტში ღიად შეუდგნენ საагიტაციო მასალის დარიგებას. ადმინისტრაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა შენიშნა, რომ სოფიმ უნივერსიტეტის აივნიდან პროკლამაციები ხალხის მასაში ისროლა და გესტაპოს ჯგუფი გამოიძახა. 17-საათიან დაკითხვას თან ახლდა წამება და სადისტური მოპყრობა, რომლის შედეგად 22 თებერვალს სასამართლო სხდომაზე სოფი მოტეხილი ფეხით წარდგა. ამის მიუხედავად, მას ამაყად ეჭირა თავი, უარი თქვა მონანიებაზე და იმედი გამოთქვა, რომ მათი მაგალითი ათასობით ადამიანს გამოაღვიძებდა და მოქმედებისკენ უბიძგებდა. სისასტიკით ცნობილმა მოსამართლემ როლანდ ფრაისლერმა და-ძმა და მათი მეგობარი დამნაშავედ ცნო ღალატში და მათ სიკვდილი მიუსაჯა; ყველას გილიოტინაზე მოჰკვეთეს თავი.

ომის დასრულების შემდეგ, განსაკუთრებით, 1970-იანი წლებიდან, დესპოტიის წინააღმდეგ მებრძოლი შეუპოვარი გოგონა ლეგენდად გადაიქცა. მან გამოჩენილ გერმანელ პოლიტიკურ, საზოგადო თუ კულტურულ მოღვაწეთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. სოფი და ჰანს შოლის სახელი დაერქვა მიუნხენის უნივერსიტეტს, სადაც ისინი სწავლობდნენ. მათ სახელებს ატარებენ, აგრეთვე, სკოლები, სკვერები და ქუჩები სხვადასხვა ქალაქში. თეატრში, ლიტერატურაში, კინოში, მუსიკაში შეიქმნა ნაწარმოებები მათი სახელების უკვდავსაყოფად.

# ქალთა სამედიცინო განათლების პიონერი ელიზაბეთ ბლექუელი

## პირველი ქალი, რომელმაც აშშ-ში სამედიცინო ხარისხი მიიღო

**ელიზაბეთ ბლექუელი იყო პიონერი, რომლის მონდომებამ და შეუპოვრობამ გზა გაუხსნა ქალებს მედიცინაში. ის დაიბადა 1821 წლის 3 თებერვალს ბრისტოლში, ინგლისში. ელიზაბეთი პროგრესული და ინტელექტუალური ოჯახის წევრი და ცხრა შვილიდან მესამე გახლდათ. ბლექუელები სოციალური რეფორმების ძლიერი დამცველები იყვნენ, ელიზაბეთის მამა კი, საერთოდაც, სოციალური აქტივისტი და აბოლიციონისტი იყო. 1832 წელს ოჯახი, ფინანსური გაჭირვების გამო, ემიგრაციაში წავიდა შეერთებულ შტატებში და ნიუ-იორკში დასახლდა.**



ელიზაბეთი თავიდან მასწავლებლობის კარიერას მიჰყვებოდა, მაგრამ ოცდაათიან წლებში მომხდარმა მოვლენამ, როდესაც ახლო მეგობარი ავად გაუხდა, გაუჩინა სურვილი, ექიმი გამხდარიყო. იმ დროს მედიცინის სფეროში მთლიანად მამაკაცები დომინირებდნენ და ქალებისთვის სამედიცინო განათლება, ფაქტობრივად, მიუწვდომელი გახლდათ. მიუხედავად არსებული სოციალური ნორმებისა, ბლექუელმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო.

1847 წელს, მრავალი სამედიცინო სკოლის მიერ უარის თქმის შემდეგ, ელიზაბეთმა ნიუ-იორკში მდებარე ჟენევის სამედიცინო კოლეჯს მიმართა. მიმღებმა კომიტეტმა, რომელიც სკეპტიკურად იყო განწყობილი ქალების საექიმო უნარების მიმართ, გადაწყვიტა, აზრი მამაკაცი სტუდენტებისთვის ეკითხა. სტუდენტებმა ეს ხუმრობად მიიჩნიეს და მის მიღებას მისცეს ხმა. მათდა გასაკვირად, ბლექუელმა სწავლის პროცესში თავი გამოიჩინა და აჩვენა არა მხოლოდ მკაცრი დისციპლინა, არამედ გამძლეობა და შემართება, რომლითაც ის ყველა ბარიერს ლახავდა. 1849 წელს ელიზაბეთ ბლექუელი გახდა პირველი ქალი შეერთებულ შტატებში, რომელმაც სამედიცინო ხარისხი მიიღო.

ბლექუელის გზა არც ისე მარტივი აღმოჩნდა. ადრეული კარიერის განმავლობაში უზარმაზარ დისკრიმინაციას განიცდიდა. სწავლისას თანაკლასელები ჟენევის სამედიცინო კოლეჯში ღიად დასცინოდნენ მას, ხოლო საავადმყოფოები პრაქტიკასა და სამედიცინო ტრენინგებზე უარს ეუბნებოდნენ. მიუხედავად ამისა, იგი დაჟინებით აგრძელებდა არჩეულ გზას მედიცინის სფეროში ცვლილებების შეტანისა და იმის დამტკიცების სურვილით, რომ ქალებს მამაკაცებივით შეეძლოთ, გამხდარიყვნენ გამოცდილი ექიმები.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ბლექუელი სამედიცინო სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრა. იქ მას ბევრი გამოწვევა შეხვდა, მაგრამ გადაწყვეტილების სიმყარემ მაინც წარმატებამდე მიიყვანა. მან გაიარა ტრენინგი პარიზის პრესტიჟულ ჰოსპიტალში **La Maternité**, სადაც შეუფასებელი კლინიკური გამოცდილება მიიღო. შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ ბლექუელმა უკვე იცოდა, რომ სამედიცინო საზოგადოებაში საკუთარ კვალს დატოვებდა.

1857 წელს მან დააარსა ნიუ-იორკის საავადმყოფო ქალებისა და ბავშვებისთვის. ეს გახლდათ დაწესებულება, რომელიც გაჭირვებულებზე ზრუნავდა და სხვა ქალებს სამედიცინო ტრენინგებს სთავაზობდა. ამ საავადმყოფოს ლაზარეთი გახდა სამედიცინო დახმარების ცენტრი, განსაკუთრებით კი, ქალებისა და ბავშვებისთვის, რომლებსაც იმ დროისთვის შეზღუდული წვდომა ჰქონდათ ჯანდაცვაზე.

თავისი კარიერის განმავლობაში ბლექუელი ქალების სამედიცინო განათლების გაუმჯობესებაზეც აქტიურად მუშაობდა. მან დააარსა ქალთა სამედიცინო კოლეჯი ნიუ-იორკში, რომელიც საშუალებას აძლევდა ქალებს, სამედიცინო სფეროში ჩართულიყვნენ. ელიზაბეთს მტკიცედ სჯეროდა, რომ ქალებს აქვთ უნიკალური თვისებები, რომელთა საშუალებითაც, მათ შეუძლიათ, მედიცინას თანაგრძნობითა და მზრუნველობით მიუდგნენ.

შემდგომ წლებში ბლექუელის მუშაობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური რეფორმების მიმართულებით გაფართოვდა. იგი, ასევე ჩაერთო საარჩევნო უფლების მოძრაობაში, ემხრობოდა ქალთა ხმის მიცემის უფლებას; თვლიდა, რომ პოლიტიკური თანასწორობა აუცილებელი იყო ქალთა პროგრესისთვის საზოგადოების ყველა სფეროში.

ელიზაბეთ ბლექუელმა 1870-იან წლებში მიატოვა აქტიური სამედიცინო პრაქტიკა, მაგრამ მისი გავლენა წლების განმავლობაში იგრძნობოდა. მან ვრცელი ნამუშევარი მიუძღვნა სამედიცინო პროფესიასა და ქალი ექიმის გამოცდილებას. ეს წიგნი იყო როგორც მემუარები, ასევე სახელმძღვანელო მომავალი თაობის ქალებისთვის, რომლებიც ექიმობისკენ მიისწრაფოდნენ.

# რატომ დაარღვია 18 წლის მოდელმა მრავალსაუკუნოვანი აკრძალვა...

**ეს საინტერესო ისტორია გასული საუკუნის პირველი ნახევრის კუთვნილებაა. 1930 წელს საბერძნეთში უპრეცედენტო სკანდალი მოხდა: პარიზში გამართული „მის ევროპა 1930“-ის პირველმა გამარჯვებულმა, ცნობილი ადვოკატის შვილმა, 18 წლის ბერძენმა მოდელმა – ალიკი დიპლარაკუმ, მრავალსაუკუნოვანი აკრძალვა დაარღვია; ის ათონის მთაზე გადაცმული შეიპარა.**

მოგეხსენებათ, მდედრობითი სქესი წმინდა მთაზე არ დაიშვება. ალიკმა კი თავისი საქმროს, მდიდარი ბერძენი ბიზნესმენის იახტაზე სტუმრად ყოფნისას, მამაკაცის ტანსაცმელი მოირგო და ათონის მთის სანაპიროზე გავიდა... მას შემდეგ, რაც ფაქტი მედიისთვის გახდა ცნობილი, საბერძნეთი მასშტაბურ სკანდალში გაეხვია. ბერძენთა ნაწილი აღფრთოვანებული იყო ბერძენი მოდელის საქციელით და გამარჯვებად მიიჩნევდნენ, უმრავლესობამ კი მას ზურგი აქცია და „სატანა“ უწოდეს.

**ინციდენტიდან ცოტა ხანში, ალიკი მძიმედ დაავადდა და სამკურნალოდ შვეიცარიაში წავიდა. უკურნებელი სენით დაავადებული, სასოწარკვეთილი ალიკი იძულებული გახდა, საკუთარ თავში ძალა მოეძებნა, ცოდვები მოენანიებინა და ათონის მთის ბერებს საჯაროდ მიტევება სთხოვა.**





## „მის ევროპა 1930-ის“ გამარჯვებულის დაუჯერებელი ამბავი

**ამის შესახებ მოგონებებში არქიმანდრიტი გაბრიელ დიონისიელი წერს:**

**„1930 წელს მე „წმინდა საზოგადოების“ წარმომადგენელი ვიყავი და ჩემს ხელში „მისს ელადის“ წერილი აღმოჩნდა, რომელიც იტყობინებოდა:**

**„წმინდა მამებო, მინდა მთელი გულით მოვინანიო და ვაღიარო ჩემი შეცდომა, რომელიც გასულ თვეს ვატოპედის მონასტერში დავუშვი.**

**იმ ადგილას, ჩემი საქმროს, ბატონი მორანის გემით მივედით და როდესაც მონასტრის სიახლოვეს აღმოვჩნდით, იქ შეღწევის ბოროტმა აზრებმა შემიპყრო, მიუხედავად იმისა, რომ იქ ქალების ყოფნის აკრძალვის შესახებ ვიცოდი.**

**ჩავიცვი ჩემი საქმროს ტანსაცმელი და მასთან ერთად შემოვუარე ტაძრებსა და სხვა ადგილებს, ისე რომ არავის დავუნახივარ. ძვირფასო მამებო, მას შემდეგ დავავადდი და აქ აღმოვჩნდი, შვეიცარიის სანატორიუმში, სადაც სიცოცხლისთვის ვიბრძვი, თუმცა ჯერჯერობით გაუმჯობესებას ვერ ვხედავ.**

**ერთს მივხვდი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღვთისმშობლის სასჯელია, რომელიც ჩემი უპატივცემულობის გამო მომივლინა. მე, განათლებული გოგონა ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. ახლა წარმოუდგენლად ვნანობ და ნეტარ ღვთისმშობელს პატიებას ვთხოვ. მომიტევეთ თქვენც, მხცოვანო მამებო, ჩემი ცოდვილი სულისთვის და გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან 5 000 დრაქმა, რათა აღესრულოს წირვა და შენდობა ჩემი გამოჯანმრთელებისთვის.“**

მამა გაბრიელი აღნიშნავს, რომ უფალმა გოგონას მონანიება მიიღო და მას ჯანმრთელობა დაუბრუნა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გამოჯანმრთელების შემდეგ, 1945 წელს, ალიკი დიპლარაკუ მეორედ გათხოვდა ინგლისელ არისტოკრატზე, ბედფორდის ჰერცოგ სერ რასელზე და გახდა ინგლისელი ლედი ალის რასელი.

პირველი „მის ევროპა“ 2002 წელს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი პანაშვიდი ლონდონში, წმინდა სოფიას საკათედრო ტაძარში გაიმართა და ბედფორდში საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს.

## სეზონის სტარტზე

# ხმაურიანი განაცხადი




**საქართველოს ტყვიის მსროლელთა ახალგაზრდულმა და უფროსთა ნაკრებმა გუნდებმა სლოვენიურ რუსეში „დიდ პრიზზე" იასპარეზეს და მედლებიც მოიპოვეს.**

თავდაპირველად ტურნირში ახალგაზრდული ნაკრები ჩაება და დებიუტშივე 10 მეტრზე პნევმატიკური პისტოლეტიდან სროლაში 3 ჯილდო დაიმსახურა.

გოგონებში 235.4 ქულით ჩემპიონი გახდა **სალომე ფროდიაშვილი,** მესამე ადგილზე კი 210.9 ქულით გავიდა **მარიამ აბრამიშვილი.** ვაჟთა გუნდიდან მეორე საუკეთესო შედეგი – 236.5 ქულა აღმოაჩნდა **გიორგი მუმლაძეს.**

საქართველოს ჰიმნმა გაიჟღერა ამავე ასაკობრივ ჯგუფში შერეულ წყვილთა ასპარეზობის დასრულების შემდეგ. 10 მეტრზე პნევმატიკური პისტოლეტიდან სროლაში სალომე ფროდიაშვილმა და გიორგი მუმლაძემ ფინალში მოლდოველთა წყვილი - ანა დულჩე და კლიმენტი ურსუ 17:13 დაამარცხეს.

შედეგად, მოპოვებული ორი ოქროს, აგრეთვე თითო ვერცხლის და ბრინჯაოს მედლით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა.

ფროდიაშვილი წარმატებით გამოვიდა უფროსებშიც, სადაც მას 237.4 ქულით ვერცხლი ერგო. 213.1 ქულით და ბრინჯაოს პრიზიორობით ნაკრების წარმატებაში წვლილი შეიტანა **მარიამ მარშავამ.**

დიდი პრიზის დასკვნით დღეს, 10 მეტრზე პნევმატიკური პისტოლეტიდან სროლაში მესამე ადგილი დაიკავა მარიამ მარშავას და **ლევან ქადაგიძის** შერეულმა წყვილმა. მომავალმა მედალოსნებმა ბრინჯაოსთვის შეხვედრაში 16:10 დაამარცხეს აზერბაიჯანელთა გუნდი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებებმა მთლიანობაში 7 მედალი (2 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო) დაისაკუთრეს, რაც ტურნირის საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა.

## დიდი ბრძოლის წინ

# ყველაფერი კარგად იქნებაო

**UFC-ის უმსუბუქესი** წონის ქართველმა ჩემპიონმა **მერაბ დვალიშვილმა** რუსეთის წარმომადგენელ **უმარ ნურმაგომედოვთან** 19 იანვარს UFC311-ის ფარგლებში გასამართ ბრძოლასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა:

**„პროფესიონალებში ჩემს სადებიუტო შეხვედრაში 11 წლის წინათ მარცხი განვიცადე, მაგრამ არ დავნებდი, ბევრს ვშრომობდი და ამან შედეგები მომიტანა. შეგიძლიათ ნახოთ, სად ვიმყოფები ახლა ჩემს გუნდთან ერთად.**

**არ ღირს ჩემი შეუფასებლობა. მიმდინარე კვირის ბოლოს მოგებათა სერიას 12-მდე გავზრდი"** – იმედიანად დაწერა დვალიშვილმა სოციალურ ქსელში.



## ლეგიონერი

# გრანდთა სამიზნე

**იტალიური გამოცემა კალჩომერკატო ემპოლის მცველ საბა გოგლიჩიძის მიმართ მილანისა და იუვენტუსის მხრიდან ინტერესის შესახებ სტატიას აქვეყნებს. შეგახსენებთ, რომ როსონერი 20 წლის ქართველის შეძენას ახლავე გეგმავს, რათა ბებერ ქალბატონს დაასწროს, თუმცა მას სეზონის ბოლომდე იჯარით ტოსკანურ კლუბში დატოვებს.**

წერილში ნათქვამია, რომ მილანმა გოგლიჩიძის შეძენა 30 ნოემბერს სან სიროზე ემპოლისთან მატჩის შემდეგ გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები 0:3 დამარცხდნენ, საბამ საუცხოოდ ითამაშა და **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე** დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამჟამად გოგლიჩიძის აგენტი **ლუკა პუჩინელი** ლომბარდიული გრანდის ხელმძღვანელობას ეკონტაქტება და სიტუაცია მალე უნდა გაირკვეს. თავის მხრივ, იუვე მარადიული პრინციპული მეტოქისთვის კონკურენციის გაწევას აპირებს. **„გოგლიჩიძის მომავალი უახლოეს დღეებში გაირკვევა. ახალგაზრდა მცველი დიდ იტალიურ გუნდში ნახტომის გასაკეთებლად უკვე მზადაა"** – წერს კალჩომერკატო. როგორც ცნობილია, ქუთაისის ტორპედოს ყოფილი ფეხბურთელი ემპოლიში შარშან გადავიდა. პორტალ ტრანსფერმარკეტის მიხედვით, საბა იტალიურ კლუბს 450 ათასი ევრო დაუჯდა, ამჟამად კი მისი ღირებულება 8 მილიონ ევროს შეადგენს.

**საფრანგეთის თასი.** ბურჟელუუ (მე-5 ლიგა) – ლიონი 2:2 (მეორე ბურთი **გიორგი მიქაუტაძემ** გაიტანა). პენალტებით მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

**გერმანიის ბუნდესლიგა.** ვერდერი – ჰაიდენჰაიმი 3:3. შედეგიანი გადაცემა **ბუდუ ზივზივაძემ** შეასრულა.

## ტრანსფერი

# მარადონას შემდეგო...




**ტელეკომპანია RAI-ს ჟურნალისტმა ანტონელო პერილომ „პარი სენ-ჟერმენში" ხვიჩა კვარაცხელიას მოსალოდნელ ტრანსფერზე ისაუბრა.**

როგორც მან აღნიშნა, კვარაცხელიაზე ძლიერი ფეხბურთელი „ნაპოლის" ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ დიეგო მარადონა იყო:

**„ნაპოლის" შესანიშნავი სეზონი აქვს და ტიფოზები ჩემპიონობაზე ოცნებობენ, მაგრამ ამ დღეებში კვარაცხელიას გაყიდვის გარდა არაფერზე საუბრობენ. პსჟ-ს შეთავაზება ისეთია, შეიძლება პულსმა აგიწიოს. საუბრობენ სეზონში 9 მილიონსა და პლუს ბონუსებზე. კონტემ გუნდი ძალიან კარგად მართა „ვერონასთან" მატჩში, რადგან შეიძლებოდა იანვრის სატრანსფერო ბაზარს დესტაბილიზაცია გამოეწვია. ჩვენ არ ვსაუბრობთ ჩვეულებრივ ფეხბურთელზე, არამედ მესამე სკუდეტოს მთავარ გმირზე.**

**ამ ბიჭმა, 77 ნომრით და ჩამოწეული გეტრებით, ფაქტობრივად გამაგიჟა პირველივე დღიდან, როცა ის მოედანზე ვნახე. საოცარი ტალანტი, ჩემი აზრით, ყველაზე მაღალი კლასის ფეხბურთელი, რომელიც „ნაპოლის" მარადონას ეპოქის შემდეგ ჰყოლია. თუმცა, მესმის, რომ ნებისმიერ ფასად მისი შენარჩუნება კლუბისთვის პროდუქტიული არ იქნებოდა", – თქვა პერილომ.**

## მემორიალი

# ლეგენდების სახელობისა

**ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოიგო. ლექსო ლაფანაშვილისა და ნიკა მსხალაიას გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირის ფინალში „ქუთაისი 2010" დამატებით დროში 102:95 დაამარცხა და აღნიშნული ოლიმპიური ჩემპიონების თასი მეორედ მოიპოვა. პირველად თსუ-მ აღნიშნული ტიტული 2019 წელს მოიგო, როცა გუნდი თსუ-ჰიუნდაის სახელით გამოდიოდა. 6 წლის წინანდელ ფინალში უნივერსიტეტელებმა "დელტას" სძლიეს, რომელსაც თსუ-ს ამჟამინდელი მწვრთნელი ლექსო ლაფანაშვილი ავარჯიშებდა.**

სწორედ საკანდელიძე-ქორქიას თასი გახლდათ ერთადერთი ტიტული, რომელიც ლექსო ლაფანაშვილს მწვრთნელის ამპლუაში არ ჰქონდა მოგებული. „ქუთაისის" დამარცხების შემდეგ მან მოხვეჭილი ქართული ტიტულების სია ბოლომდე შეავსო. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ტურნირში (სუპერლიგა, დუდუ დადიანის მემორიალი, საქართველოს თასი, ქორქია-საკანდელიძის მემორიალი) თსუ-ს ქუთაისისთვის ბოლო 2 სეზონში მოგებული არ ჰქონდა. სტუდენტებმა ნავსი გატეხეს და უხერხული მეტოქე ერთობ პრინციპულ დაპირისპირებაში – მემორიალის სატიტულო მატჩში დაამარცხეს.



მატჩის ბედი დამატებით 5-წუთეულში, ანუ ოვერტაიმში გადაწყდა. თსუ მოგებასთან ძირითად დროშიც ახლოს იყო, თუმცა საფინალო სირენის თანხლებით **ელაია ჯოინერმა** გამთანაბრებელი 2-ქულიანი ჩააგდო და თამაში ოვერტაიმში გადაიზარდა – 85:85. თსუ ბოლო წუთზე 4 ქულით იგებდა, რაც **გიორგი ცინცაძის** დიდოსტატური თამაშის შედეგი იყო.

უნივერსიტეტელები გადაარჩინა **ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა,** რომელმაც ზედიზედ 2 სამქულიანი ჩააგდო, რის შემდეგაც თანაგუნდელის აცილებული მოხსნა და ფარქვეშიდან ჩააგდო. ზედიზედ მითვლილი 8 ქულით გაფრინდაშვილმა ქუთაისელები წასაგებად გაწირა..

გაფრინდაშვილი დამსახურებულად გახდა ტურნირის საუკეთესო უკანახაზელი და დაჯილდოების ცერემონიალისას შესაბამისი პრიზი ზურაბ საკანდელიძის მოსახელე შვილიშვილისგან ჩაიბარა. საუკეთესო ფორვარდი გახდა **ალექსანდრე ფევაძე,** რომელმაც მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. მთელი თამაშის მანძილზე ის მოსვენებას არ აძლევდა ქუთაისელთა დაცვას და საბოლოო ჯამში 35 ქულა ჩაუგდო. ფევაძეს საუკეთესო ფორვარდის პრიზი კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა,** ხოლო საჩემპიონო თასი თსუ-ს კაპიტან გიორგი ცინცაძეს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარემ **პაატა ბურასპაულმა** გადასცა.

## ევროლიგა



# 12 ქულით დაბრუნდა

**ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ თორნიკე შენგელია ვირტუსს დაუბრუნდა და ევროლიგის 21-ე ტურში პარტნიორებს კაუნასში ჟალგირისთან შეხვედრისთვის შეუერთდა.**

თამაშის ბედი დებიუტშივე გადაწყდა, როცა ლიეტუველები 31:13 დაწინაურდნენ.

რაც შეეხება შენგელიას, იგრძნობოდა, რომ სათანადო კონდიციების ასაკრეფად გარკვეული დრო დასჭირდება, თუმცა ბოლონიელთა შორის კორდინიეს (18 ქულა) შემდეგ მეორე პირადი მონაგრით მაინც გამორჩეული გახლდათ – 23 წუთში 12 ქულა, 7 მოხსნა და 3 ასისტი.

# ნიკო კეცხოველის კვალდაკვალ



**2024 წლის 26 დეკემბერს სათნოების სახლის (კათარზისის) ბიბლიოთეკის დარბაზში ჩატარდა დიდი ქართველი მამულიშვილის, თვალსაჩინო ბოტანიკოსის, ბიოგრაფის, ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, ფოლკლორისტის, ტოპონიმიკოსის, ფოტოდოკუმენტალისტის და მთამსვლელის, უმაღლესი სკოლის ბრწყინვალე ორგანიზატორის, ქართულ ენასა და კულტურის ძეგლებზე დაუცხრომელი მზრუნველის; ამასთან, მრავალი სამეცნიერო შრომისა და ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის, არაერთი ცნობილი მეცნიერისა და ლიტერატორის აღმზრდელის ნიკო კეცხოველის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.**

ბიბლიოთეკის მუშაკმა **დარეჯან კაციტაძემ** დამსწრეთა წინაშე ისაუბრა ბატონი ნიკოს ბიოგრაფიასა და მრავალმხრივი მოღვაწეობის დამადასტურებელ უამრავ ფაქტზე. ხაზი გაუსვა მის უსაზღვრო ენერგიასა და შრომისმოყვარეობას, მის გამორჩეულ ორგანიზატორულ ნიჭს, რაც უპირველესად გამოვლინდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობისას და ბოტანიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორობისას. ასევე შეეხო ბატონი ნიკოს უსამართლობისადმი უკომპრომისო ბრძოლას, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირვის სამაგალითო უნარს, სტუდენტი ახალგაზრდობისადმი მამაშვილური გრძნობის დონემდე მის სანაქებო ზრუნვას.

**ყოველივე ამისთვის გამოყენებულ იქნა ნიკო კეცხოველისადმი მიძღვნილი ჟურნალი „მოაზროვნე“, რომელშიც ასახულია მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეთა: არჩ. ჯანაშვილის, ს. ჯორბენაძის, დ. ჩხიკვიშვილის; ასევე ლიტერატორთა: ნოდარ დუმბაძის, რევაზ ინანიშვილის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსულ ჩარკვიანის პირუთვნელი შეფასებები და ღრმად შთამბეჭდავი მოგონებანი ბატონი ნიკოს შესახებ.**

დიდი ინტერესი გამოიწვია ნიკო კეცხოველის თანამოაზრისა და თანამებრძოლის, მისი ყოფილი მოსწავლისა და შემდეგში თანამშრომლის, მედიცინის ისტორიის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ქალბატონ **მარინე მანჯავიძის** მოგონებებმა იუბილარის ირგვლივ. მან დამსწრეთ წარუდგინა ნიკო კეცხოველის მონოგრაფიები, სამეცნიერო ნაშრომები, ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც ბატონმა ნიკომ უსახსოვრა მას. ესენია: **„საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“, „მკერდში დაჭრილი ბუნება“, „მომავლისკენაც გავიხედოთ“, „მეცხრე მთაც გადავიარე“, „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“,** რომელთა გამო ნიკო კეცხოველს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

**აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თაოსნობითა და მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი „ველური ბუნება“, რომელშიც არსებობს რუბრიკა „ნიკო კეცხოველის კვალდაკვალ“, სადაც სისტემატურად იბეჭდება ბატონი ნიკოს ნაწარმოებები.**

ამჯერად, ერთ-ერთი მისი ნარკვევი „მუხა“ გაგვაცნო ეთნოგრაფმა, პროფესორმა **ბიძინა ნანობაშვილმა,** როგორც ეთნოგრაფმა და ფოლკლორისტმა, დამსწრეთ გააცნო უძველესი ხალხური სიმღერა „მუმლი მუხასა“ დღემდე უცნობი ინტერპრეტაციით.

საკუთარი ლექსები ბუნებაში არსებულ თითქმის ყველა ყვავილზე, მათთვის დამახასიათებელი ფერით, სუნითა და სხვა თვისებებით, წაიკითხა პოეტმა **მანანა ყურაშვილმა,** რომელმაც კიდევ უფრო შინაარსიანი და მიმზიდველი გახადა ეს საღამო.

ბოლოს, ქართული ტრადიციისამებრ, ბატონი ნიკოს მოსახსენიებლად შეისვა სადღეგრძელო.

**დარეჯან ხოტივარი**

# 2024 წელს ტურისტული ვიზიტების მაჩვენებელმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

**2024 წელს** საქართველოში 5,091,732 საერთაშორისო ტურისტი შემოვიდა, ზრდა 2023 წელთან შედარებით +9%-ით მეტია, 2019 წელთან შედარებით კი ტურისტული ვიზიტების ზრდამ +0.2% შეადგინა.

გასულ წელს საქართველოში 7,368,149 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც 2023 წელთან შედარებით ზრდა +4.2%-ია, 2019 წელთან შედარებით კი ვიზიტები 78.7%-ით აღდგა.

ტურისტული და საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მნიშვნელოვნად გაიზარდა 2024 წლის მე-4 კვარტალში.

გასული წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში საქართველოში 1,098,890 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, 2023 წელთან შედარებით ზრდა +8.4%-ია, ხოლო 2019 წლის მონაცემებთან შედარებით ზრდა +0.8%-ს შეადგენს.

2024 წლის მე-4 კვარტალში საქართველოში 1,573,488 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, 2023 წელთან შედარებით ზრდა +4.5%-ია, ხოლო 2019 წელთან შედარებით აღდგენა 74.2%-ს შეადგენს.

2024 წლის მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტორების რეკორდული მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგი ქვეყნებიდან:




**თურქეთი – 1,336,834 ვიზიტი, ისრაელი – 310,982 ვიზიტი, ყაზახეთი – 178,930 ვიზიტი, ინდოეთი – 124,335, ჩინეთი – 88,583, საუდის არაბეთი – 88,298, უზბეკეთი – 64,259 ვიზიტი, ამერიკის შეერთებული შტატები – 51,728 ვიზიტი, საფრანგეთი – 28,302 ვიზიტი, საბერძნეთი – 27,557 ვიზიტი, ქუვეითი – 27,277 ვიზიტი, ლატვია – 22,297 ვიზიტი, არაბთა გაერთიანებული საემიროები – 14,889 ვიზიტი.**

# ადამიანები, რომლებიც მოწევას თავს ანებებენ, მეტი ფულის გამომუშავებას იწყებენ!

**ფინელმა მეცნიერებმა დაადგინეს კავშირი მწეველ ადამიანებსა და მათ შემოსავალს შორის. ყოველ წელს მწეველების შემოსავალი 1,8%-ით მცირდება, – ნათქვამია ფინელი მეცნიერების კვლევაში, რომელიც სამეცნიერო ჟურნალ Nicotine & Tobacco Research-შია (NTR) გამოქვეყნებული.**




მოწევის ნეგატიური შედეგები ყველასთვის ცნობილია – სიმსივნის გაჩენის რისკი, რესპირატორული პრობლემები და გულსისხლძარღვთა დაავადებები. ამ ყველაფერთან ერთად, მოწევის გამო ადამიანები ნაკლებ წარმატებულები ხდებიან შრომის ბაზარზე, განსაკუთრებით კი ფიზიკურად მძიმე სამუშაოებზე, აღნიშნავენ ფინელი მეცნიერები.

მეცნიერებმა კვლევა 24-39 წლის ადამიანებზე ჩაატარა ფინეთის ხუთ სხვადასხვა რეგიონში. ფინელი მეცნიერების აზრით, მოწევისთვის თავის დანებებამ ან თამბაქოს მოხმარების შემცირებამ ადამიანის შემოსავალი 9%-მდე შეიძლება გაზარდოს.

## ხსოვნა

**თბილისში ჭავჭავაძის პროსპექტის N39-ში მცხოვრები უახლოესი მეზობლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და თანავუგრძნობთ ბატონ აკაკი სარალიძეს დედის**

**ნელი ზამბახიძე-სარალიძის**

**გარდაცვალების გამო.**




# უმძიმესი ავარია ბაკურციხის გზაზე



**თბილისი-გაკურციხის ცენტრალურ მაგისტრალზე მომხდარ ავარიას, 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

შემთხვევა 15 იანვარს მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ერთმანეთს ტრაილერი და ოთხი მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.

შეჯახების შედეგად, ტრაილერი გადაბრუნდა და ავტომობილებს დაეცა.

ავარიის შედეგად მიღებული ტრავმებით 4 ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა, ერთი დაშავდა.

# სარფში მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს



**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (ჯამში: 255,67 გრამი) გამოვლინდა, – ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.**

„არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 35 162,7 ლარი შეადგინა.

კანონდამრღვევი საქართველოს მოქალაქის საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა, ხოლო სამართალდამრღვევ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს 168-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა ჯამში: 16 210,7 განესაზღვრათ“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# შვილს წამლავდა, რათა სოციალური ქსელების მეშვეობით ხალხის შემოწირულობა მიეღო!..

**ბიბისის ცნობით, ავსტრალიელი ინფლუენსერი ქალი 1 წლის შვილის „მძიმე დაავადებასთან“ ბრძოლის კადრებს სოციალურ ქსელში რეგულარულად ავრცელებდა, რის შედეგადაც მან 37,300 აშშ დოლარი შეაგროვა შემოწირულობების საშუალებით.**

დეტექტივები ამტკიცებენ, რომ ის ერთი წლის ბავშვს ნარკოტიკულ საშუალებას აძლევდა და შემდეგ იღებდა მას „უზარმაზარ გასაჭირში და ტკივილში“.

ექიმებმა განგაში გამოაცხადეს ოქტომბერში, როდესაც ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს მძიმე სამედიცინო მდგომარეობით.

სამედიცინო ექსპერტების შეფასებით, ბავშვი მძიმე ემოციურ და ფიზიკურ ზიანს განიცდიდა.



საბოლოოდ, რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ, 34 წლის ქალს ბრალი წაუყენეს წამებაში, შხამის მოხმარებაში, ბავშვზე ძალადობასა და თაღლითობაში.

# ალკოჰოლით ინტოქსიკაციისგან თურქეთში 30 ადამიანი დაიღუპა

**თურქეთში, სტამბოლში, ფალსიფიცირებული ალკოჰოლით ინტოქსიკაციისგან სულ მცირე 30 ადამიანი დაიღუპა.**

მედიის ცნობით, ალკოჰოლით ინტოქსიკაციის ნიშნებით, ქალაქის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებას 83-მა ადამიანმა მიმართა.

ამ დროისთვის, გარდაცვლილების რაოდენობა 30-მდე გაიზარდა, 4 ადამიანი კი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს.

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში 31 ადამიანი აგრძელებს მკურნალობას, რეგულარულ პალატებში კი 18 ადამიანი რჩება.



# აყევით ვარსკვლავებს 30 მაისს, ამჯერად ციცინათელას პარკში!

**Starring Georgia-ს 2025 წლის მუსიკალურ სეზონს, როკმუსიკის ისტორიაში ლეგენდარული ბენდი, Guns N' Roses გახსნის.**




**გვიხარია, რომ სეზონის პირველ ღონისძიებას წლის დასაწყისში ვაანონსებთ და გაძლევთ შესაძლებლობას, უკეთ დაგეგმოთ თქვენი მუსიკალური მოგზაურობა, რომელიც გვიანი გაზაფხულიდან დაიწყება!**

აყევით ვარსკვლავებს 30 მაისს, ამჯერად ციცინათელას პარკში. Starring Georgiა-ს 2025 წლის მუსიკალურ სეზონს, როკმუსიკის ისტორიაში ლეგენდარული ბენდი, Guns N' Roses გახსნის. ამ ღონისძიების დაანონსებით Starring Georgia-ს პროექტის კიდევ ერთი ეტაპი იწყება, რომელიც წელს კიდევ უფრო მასშტაბური იქნება და სხვადასხვა ასაკის თუ გემოვნების მსმენელს საუკეთესო მუსიკალურ გამოცდილებას შესთავაზებს.

Guns N' Roses ლოს ანჯელესში დაარსებული როკბენდია, რომელიც უკვე 40 წელია როკმუსიკის ოლიმპოს მთაზე დამსახურებულ ადგილს არავის უთმობს. კლასიკური როკის ჟღერადობის მეტალის ხასიათთან საინტერესო შეზავებით და საოცრად ენერგიული ლაივ შოუების დამსახურებით ამერიკული ბენდი დღემდე არ კარგავს თავის სტატუსს და მნიშვნელობას.

ათეულობით მილიონი გაყიდული ალბომი და მსოფლიოს ყველაზე დიდ სტადიონებსა თუ საკონცერტო დარბაზებში ჩატარებული ტურნეები კიდევ ვერ გამოხატავს იმ მემკვიდრეობას, რომელსაც Guns N' Roses-ის შემოქმედება იტევს. საბედნიეროდ, ამ ყველაფრის ნაწილი მალე საქართველოც გახდება და ეს დიდი ამბების მხოლოდ დასაწყისია.

სწორედ Guns N' Roses-ის მასშტაბების გათვალისწინებით შეირჩა ღონისძიების ლოკაციად შეკვეთილში მდებარე პარკ „ციცინათელას" პარკინგის ტერიტორია, რომელიც 40 000 მელომანს დაიტევს. Guns N' Roses ერთადერთი ბენდი არ იქნება, ვისაც „ციცინათელაში" შეკრებილი მელომანები მოუსმენენ. „ციცინათელას" სცენაზე ამერიკული როკ ბენდი ღივალ შონს წარდგენა, რომელიც მთავარი არტისტის მოწვეული ბენდია. ამგვარად შესაძლებლობა გვეძლევა მუსიკის ძალით და თქვენი დახმარებით ხელი შევუწყოთ გურიაში ტურიზმის განვითარებას და 2025 წელს გურია და საქართველო იყოს მუსიკალური ორბიტის მთავარ როლში.

**ბილეთების გაყიდვა 20 იანვარს, 11:00 საათზე დაიწყება პლატფორმა TKT.ge-ზე.**

# ამღერებული ხელედი



**სოფელ ხელედში სალოტბარო სკოლა გაიხსნა. ინფორმაციას ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ავრცელებს. ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სალოტბარო სკოლები ჯამში 41 მუნიციპალიტეტსა და სოფელში მოქმედებს.**

„ქვემო სვანეთში ხელედი ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია, რომელიც ყოველთვის იდგა კუთხისთვის დამახასიათებელი ძვირფასი ფოლკლორული, სასიმღერო თუ საცეკვაო ნიმუშების, საყოფაცხოვრებო ტრადიციებისა თუ სვანური ენისმცოდნეობის და მისი თაობებისთვის სრულყოფილად გადაცემის სადარაჯოზე. ამიტომ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გადაწყვეტილებით, სოფელში გაიხსნა სალოტბარო სკოლა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფელს ისევ გამოზარდოს სვანური წესითა და ადათით მრავალი თაობა.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 18 მოსწავლე და მათი ლოტბარ-რეგენტი გახლავთ კახა გაზდელიანი. ხოლო ქორეოგრაფი – იური ზენდელიანი. უკვე ახალი სასწავლო სემესტრიდან ქვეყნის მასშტაბით, სკოლები შეისწავლიან ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასაც", – ნათქვამია ფოლკლორის ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# კულტურის სამინისტროს საჩუქარი ზესტაფონის თეატრს



**კულტურის სამინისტრომ ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს სცენის განათების აპარატურა გადასცა.**

სამინისტროს ინფორმაციით, აპარატურის ღირებულება 106 ათასი ლარია. ზესტაფონის თეატრს კულტურის სამინისტროსგან გადაეცემა გახმოვანების სისტემაც.

„აღსანიშნავია, რომ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით 2025 წელს დაიწყება თეატრის რეაბილიტაცია.

**ინფორმაციისთვის:** საქართველოს კულტურის სამინისტრო წლის ბოლომდე 16 სახელმწიფო თეატრისა და საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სცენის განათებისა და გახმოვანების სისტემებს გააახლებს", – აღნიშნულია სამინისტროს ინფორმაციაში.



# „აღმოაჩინე თუშეთი"

**მწერალთა** სახლის ხელშეწყობით, გამომცემლობა **Mitteldeutscher Verlag**-მა გერმანულ ენაზე დასტამბა **შტეფან აპლისის** და **ფლორიან მიულფრიდის** გზამკვლევი – „**აღმოაჩინე თუშეთი**". ინფორმაციას საქართველოს მწერალთა სახლი ავრცელებს.




# ფოლკლორული საარქივო მასალების კატალოგიზაცია გრძელდება

**ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს გასაციფრებლად ხელოვნების სასახლესა და ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის ფონდებში დაცული მასალები გადაეცა.**

ფოლკლორის ცენტრის ინფორმაციით, მასალებს შორისაა, გასული საუკუნის სხვადასხვა წლებში ექსპედიციებისას ჩაწერილი და ოჯახებიდან წამოღებული ბაბინები, აუდიოკასეტები, ფოტო და ვიდეოარქივი.

„დღემდე უცნობია ნაწილი მასალების წარმომავლობა და მასზე ჩაწერილი ნიმუშების შინაარსი. აქედან გამომდინარე, გადაწყდა ფოლკლორის ცენტრის და ხელოვნების სასახლის მიერ ერთობლივი პროექტის შედგენა, რომლის ფარგლებშიც ფოლკლორული მასალები გაციფრდება და შეინახება, როგორც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, ასევე ხელოვნების სასახლის ფონდში.

ფოლკლორული საარქივო მასალების კატალოგიზაციის პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით", – აღნიშნულია ინფორმაციაში.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.8446; ევრო - 2.9322;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4778;**
**100 რუბლი - 2.7727; თურქული ლირა - 0.0802;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6729;**
**1000 სომხური დრამი - 7.1472.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);
რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),
შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),
სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**
ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**
გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 იანვარს**